№ 169

ოთხშაბათი, 21 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 169

ოთხშაბათი, 21 სექტემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

Открыта подписка на ежедневную общественно-литературную и политическую газету

„ВОЗРОЖДЕНІЕ“.

1-й № выйдетъ 1-го октября.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

	На годъ.	На 6 мѣсяц.	На 3 мѣсяц.	На 1 мѣсяц
Для городскихъ подписчиковъ съ доставкою.	6 руб.	3 руб.	1 руб. 50 к.	50 коп.
Для иногороднихъ подписчиковъ съ пересылкою . . .	7 руб.	3 руб. 50 к.	1 руб- 75 к.	60 коп.

Подписка принимается въ конторѣ газеты „ВОЗРОЖДЕНІЕ“, Тифлисъ, Головинскій пр., д. бр. Зубаловыхъ (входъ съ Давидовской ул.).

Плата за объявленія: за строку петита впереди текста 10 коп., позади текста—5 коп.

Съ января 1906 года „ВОЗРОЖДЕНІЕ“ будетъ выходить съ еженедѣльнымъ иллюстрированнымъ приложеніемъ съ каррикатурами, при чемъ оба изданія будутъ стоить 10 руб. въ годъ съ пересылкою и доставкою.

Редакторъ *П. А. Іотуа.*

Редакторъ-Издатель кн. *П. І. Тумановъ.*

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

დღეს, ოთხშაბათს, 21 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება

„რუსალკა“

ოპერა 5 მოქმ. მუსიკა დარგომიჟსკისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქნნი: ნოვოსპასკაია, ნაკიტსკაია, მიშეცკაია; ბ-ნები: კულდოტოვი, დრაკული, დემიანენკო და ფილიპოვი.

ბალეტს განაგებს ბალეტმეისტერი ბ-ნი ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

დირიჟორი ი. ფ. ფალიაშვილი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

ანონსი: ხვალ, ხუთშაბათს, 22 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება „პიკოვაია დამა“, ოპერა 3 მოქ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

პარასკევს, 23 სექტემბერს, „ფაუსტი“ ოპერა 5 მოქ. მუსიკა გუნოსი.

ამ მოკლე ხანში გაიმართება წარმოდგენა ცნობილ იტალიელ ტენორის, **ანჯელო გამბის** მონაწილეობით.

ბილეთები იყიდება.

კვირას, 25 სექტემბერს, 1905 წელს, სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში (სასახლის ქუჩაზე) გაიმართება

სეირნობა

საქველ მოქმედო ბაზრითურთ ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

ბაზრობა დაიწყება შუადღის 12 საათზე და გათავდება საღამოს 10 საათზე. სეირნობის დროს ბაღში დაუკრავს მუსიკა.

ბაღში იქნება საბავშო გასართობი, უჩინმაჩინის ქუდი, ფოსტა, მკითხაობა და სიურპრიზები.

სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში გაიმართება

ცეკვა

ბაღში შესასვლელი ბილეთი დიდებისთვის ჰღირს 20 კაპ., ბავშვებისთვის—10 კაპ. (6—2)

გამგეობა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა ამით აუწყებს წევრთ, რომ წლიური კრება ამ ამხანაგობისა დანიშნულია 23 სექტემბრისათვის. კრების განსახილველი საგნებია: 1) განხილვა და დამტკიცება მიმდინარე წლის ანგარიშისა; 2) გათვალისწინება ამხანაგობის დღევანდელი და მომავალი მდგომარეობისა 3) არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა.

უკეთუ ეს პირველი კრება არ შესდგა, მეორე კრება მოხდება 23 ოქტომბრისათვის, დღით, კვირას, დილის ათ საათზედ. ს. კუბში. ეს მეორე კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (2—1.)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. უორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

პ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ყ. ფ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ჯ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქი. ზძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. ზ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ჯ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **პ ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.** Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 **ხუთხეში,** ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყემელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი [illegible]

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჭაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქ-ის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ცენტრალიზმი და ადგილობრივი თვითმართველობა.

საზოგადობრივი მართვა-გამგეობა შეგვიძლიან ორის მხრით განვიხილოთ. პირველი მხარე არის ორგანიზაცია, მეორე—მოქმედება. მართალია, ერთი გვარის ორგანიზაციას ყოველთვის არ მოსდევს მისი შესაფერი მოქმედება: მაგალითად, წარმოსადგენია, რომ დემოკრატიულ ორგანიზაციაზე აგებულმა მთავრობამ ისეთი რამ მოიმოქმედოს, რაც სრულიად ეწინააღმდეგება დემოკრატიის ინტერესებს, მაგრამ, თუ საზოგადო ვითარებას მივიღებთ მხედველობაში, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ სახელმწიფო ორგანიზაციის ხასიათს შეესაბამება მთავრობის მოქმედებაც. სადაც სახელმწიფო დემოკრატიულადაა მოწყობილი, იქ მთავრობაც დემოკრატიულ პრინციპებს ემორჩილება.

დემოკრატიულ ორგანიზაციას შემდეგი ძირითადი პრინციპი აქვს საფუძვლად: ყოველ საზოგადოებრივ საქმესაც, თუ დაწესებულებას უნდა უძღვებოდნენ იმ რაიონის მცხოვრებლები, რომელთა ინტერესს ეს საქმე თუ დაწესებულება ემსახურება. ცხადია, რომ ცენტრალისტურად მოწყობილი მთავრობა თავის დღეში დემოკრატიული არ იქნება. შესაძლოა, ცენტრალისტურ მთავრობის ადგილი დემოკრატიამ ჩაიგდოს ხელში, მაგრამ თუ ის მოისურვებს თვითონ განაგოს სახელმწიფობრივ მოქმედების ყოველი მხარე და არაფერს არ არგუნებს ადგილობრივ რაიონებს, მაშინ იგი აუცილებლად შეიქმნება რთული აღმასრულებელი მანქანა, რომელსაც დღეს ბიუროკრატია ჰქვიან და რომელიც თავის მოქმედებით უარჰყოფს ხალხის საზოგადოებრივ მოქმედებას.

წარმოვიდგინოთ, რომ მთელი ის ტერიტორია, რომელიც დღეს რუსეთის იმპერიას უჭირავს, დასახლებულია ერთის ეროვნებით და სხვადასხვა კუთხეები დაახლოვებით კულტურულ განვითარების ერთ საფეხურზე დგანან. ამ შემთხვევაშიაც კი წარმოუდგენელია ცენტრალიზმის დამყარება და ამავე დროს მასთან ერთად დემოკრატიულ რეჟიმის დაცვა. ცენტრალური მთავრობა ვერ შესძლებს გაუძღვეს ხალხის მრავალ მხრივ ცხოვრებას და თუ იგი ხალხს თავისუფალ მოქმედების ასპარეზს არ გაუჩენს,—უნებლიედ შებოჭავს მას, თვითმოქმედებას მოუსპობს და სულს შეუხუთავს. მით უმეტეს წარმოუდგენელია დემოკრატიის პრინციპების შეთანხმება ცენტრალიზმთან, როცა დიდი სივრცის ტერიტორია დასახლებულია მრავალ სხვადასხვა ისტორიულს წარსულისა და სხვადასხვა კულტურულ განვითარების მქონე ერებით.

ეროვნული საკითხი იმ სახით, როგორადაც ის დღემდის არსებობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, გამოიხატებოდა უმთავრესად გაბატონებულ ხალხის ბიუროკრატიის მიერ დამონებულ ხალხთა სისტემატიურ დევნასა და გაქელვაში. ცენტრალურ რაიონის მცხოვრებთა სოციალურ შევიწროებას უერთდებოდა „განაპირა“ ქვეყნების ეროვნული შევიწროებაც. ამ გარემოების შედეგი იყო მხოლოდ ერების კულტურულ განვითარების დაბრკოლება და დამახინჯება.

ასეთ ვითარებაში წარმოუდგენელია დემოკრატიული წყობილების აღყვავება. დემოკრატიული ხასიათი მხოლოდ იმ საქმეს აქვს, რომელიც თანაბარ ეფინება სახელმწიფოს ყველა წევრს. ყოველი უპირატესობა, რა გვარიც უნდა იყოს იგი, დემოკრატიული პრინციპის უარყოფაა. ცხადია, სადაც თანასწორობა არაა, იქ უპირატესობაც არსებობს და, მაშასადამე, იქ არც დემოკრატიულ პრინციპს აქვს ადგილი.

მართალია, თანამედროვე კულტურული განვითარება თანდათან მიისწრაფის განკერძოების მოსპობისა და გაერთიანების დამყარებისაკენ, მაგრამ განვითარების ასეთი მსვლელობა ისე არ უნდა გვესმოდეს, ვითომ იგი სხვადასხვაობას აქრობდეს და თავისუფლებას აქარწყლებდეს. არასდროს არ ყოფილა ისე ძლიერი საზოგადოებისაგან პიროვნების დამოკიდებულება, როგორც დღევანდელ კულტურულ საზოგადოებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არასდროს პიროვნებას არ სცოდნია ისეთი თავისუფლება, როგორც დღეს მას აქვს, არასდროს არ ყოფილა პიროვნების უფლებები ისე ფართო და უზრუნველყო- [illegible] კუთხეები და ეროვნებანი, რაც დრო მიდის, მით უფრო ერთმანეთისაგან დამოკიდებულნი ხდებიან ურთიერთ ცხოვრებაში, სამაგიეროდ ისინი მით უფრო მეტ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას იძენენ საკუთარ კულტურულ განვითარებაში. ქვეყნიერებამ არ იცის ისეთი ინტენსიური გონებრივი ცხოვრება, როგორც დღეს სხვადასხვა ხალხშია, ისეთის სისწრაფითა და სიძლიერით ხალხში ცოდნა არასდროს არ გავრცელებულა, როგორც დღეს ვრცელდება. კაცობრიობის კულტურული შენაძენი სწრაფად გადადის ხალხში და ყველასი საერთო კუთვნილება ხდება.

ბევრი შეცდომით ფიქრობს, თითქო თანამედროვე კულტურული განვითარება სრულიად სპობდეს ეროვნულ თავისებურებას, თითქო ენები ჰქრებოდნენ საარსებო ბრძოლაში. ფასი არ აქვს ისეთ მსჯელობას, რომელიც ფაქტზე არაა დამყარებული. ფაქტები კი სულ წინააღმდეგს გვეუბნებიან. მას შემდეგ, რაც დამყარდა თანამედროვე სამრეწველო ეპოქა, არც ერთი ენა არ გადაშენებულა. პირიქით, ამ ბოლო დროს, თავი იჩინეს, გამოცოცხლდნენ და კულტურულ ფერხულში ჩაებნენ ისეთი ხალხნი, რომელთაც წინეთ სრულიად არ მოეპოვებოდათ მწიგნობრობა და მხოლოდ ანთროპოლოგების შესასწავლ მასალას წარმოადგენდნენ და არა ეროვნებათ. გაერთიანების პროცესი ერთი ხალხის მიერ მეორის განადგურებაზე კი არ უნდა იყოს დამყარებული. ნორმალური ცხოვრება მოითხოვს ერთა თანასწორობის პრინციპის განხორციელებას, და რამდენადაც ეს პრინციპი სავსებით განხორციელდება, იმდენადვე შესუსტდება ურთიერთი უნდობლობა და განკერძოება.

ყოველ ხალხში მოიპოვება ისეთი წრეები, რომელნიც თავის ბედნიერებას, თავის არსებობას სხვის დამონავებასა და დაბეჩავებაზე ამყარებენ. რასაკვირველია, რუსეთშიაც არსებობს ასეთი წრეები. თავის მოტყუება იქნებოდა, რომ დამოკიდებული ეროვნებანი მათგან რამე სიკეთეს მოელოდნენ. საუბედუროდ, რუსეთში ალმაცერად უყურებს არა-რუსებს ის პარტიაც კი, რომელიც დემოკრატიულ დროშით გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე.

მით უფრო დიდის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ამ დღეებში მოსკოვში მომხდარ ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენლების კრების დადგენილება, რომელიც ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპს აღიარებს ყოველ ეროვნებისათვის.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი დადგენილება და შესაფერი პროპაგანდა ხალხში ძალას მოაკლებს «ჭეშმარიტ რუს პატრიოტებს» და ხელს შეუწყობს, რომ საზოგადოებაში სამართლიანი, დემოკრატიულ პრინციპის თანახმა შეხედულება გავრცელდეს დამოკიდებულ, არა-რუს ეროვნებათა შესახებ.

დ.

ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენლების კრება მოსკოვში

(წერილი მოსკოვიდან)

კრებამ გარდასწყვიტა პირველად შეიმუშაოს პოლიტიკური პროგრამა და შემდეგ-კი აგრარული და ნაციონალური. პოლიტიკური პროგრამა თითქმის მთლიანად შემუშავებულ იქმნა ნოემბერსა, აპრილსა და ივნისში მომხდარ კრებებზე. ამ პროგრამას ეწოდება:

უფლებანი მოქალაქისა და ადამიანისა.

მუხლი პირველი. სრული და ყოველმხრივი დაცვა სახელმწიფო მართვის დროს კანონიერებისა, რომელიც სავალდებულოა, როგორც კერძო პირისთვის, ისე მთავრობის წარმომადგენლისთვისაც. ეს მთავრობის მოხელენი პასუხის მგებელნი არიან საერთო სასამართლოს წინაშე და საერთო წესითაც, დაისჯებიან თუ მას თავის მოქმედებით კანონი დაარღვიეს. ეს პუნქტი ყველამ ერთხმად მიიღო. დაუყოვნებლივ გაუმჯობესდეს უნებო და დაჩაგრული მდგომარეობა გლეხებისა და უცხო ერებისა და ყველასი, ვინც ამ მდგომარეობაშია. გათანასწორება სოფლის მცხოვრებლებისა უფლებებში სხვა წოდებასთან, განთავისუფლება სოფლის მცხოვრებლებისა ადმინისტრატიულ ოპეკისაგან, მოსპობა ზემსკი ნაჩალნიკების ინსტიტუტისა.

მეორე. რუსეთის მცხოვრებელთათვის სრული თანასწორობის აღიარება პირად უფლებებისა, (ЛИЧНЫХЪ ПРАВЪ) როგორც მოქალაქობრივ, ისე პოლიტიკურ სარბიელზე.

მესამე. პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობის აღიარება და ამ პრინციპის დაუყოვნებლივ შემოღება ცხოვრებაში. უზრუნველყოფილობა სინიდისისა და სარწმუნოების თავისუფლებისა; პასპორტული სისტემის მოსპობა. ეს მუხლიც კრებამ ერთხმად მიიღო.

მეოთხე. შემოღება ხალხის წარმომადგენლობისა, რომელიც უნდა შესდგებოდეს ორის პალატისაგან და რომელმაც მონაწილეობა უნდა მოსავალ-გასავლის [illegible] ლი უნდა გაუწიოს როგორც დაბალ, ისე მაღალ ადმინისტრაციის მოქმედებას. არც ერთი კანონი არ უნდა გამოიცეს ხალხის წარმომადგენლების დაუთანხმებლად; მცხოვრებლებს არ უნდა გადახდეთ არავითარი გადასახადი და სახელმწიფო ხაზინიდანაც ფული არ უნდა დაიხარჯოს, თუ ხალხის წარმომადგენელნი თანახმანი არ იქმნებიან.

მეხუთე პუნქტი ბიურომ სხვა რედაქციით წამოაყენა, მაგრამ კრებამ იგი შესცვალა და შემდეგის სახით ერთხმად მიიღო:

ხალხის წარმომადგენლობის ორგანიზაცია არ უნდა იყოს გამომხატველი წოდებრივ და კერძო ინტერესებისა. საფუძვლად ამ ორგანიზაციას უნდა დაედოს წარმომადგენლობის არჩევა საერთო, თანასწორის, პირდაპირის და დახურულის ხმის მიცემით.

ამ მუხლის წინააღმდეგი იყო სულ 15 ხმა.

მეექვსე. ადგილობრივი, დემოკრატიულ პრინციპების მიხედვით ძირითადათ შეცვლილი დაწესებულებანი—ეს ის საფუძველია, რომელზედაც უნდა დამყარდეს მეორე პალატა, სადაც გაიგზავნებიან ამ დაწესებულების წარმომადგენლები. ორთავე პალატას უნდა ჰქონდეთ თანასწორი უფლებანი.

მეშვიდე. სრული განცალკევება სასამართლო უფლებისა ადმინისტრატიულისაგან. აღორძინება ამორჩეულ მსაჯულთა ინსტიტუტისა. გაუქმებულ უნდა იქმნეს არსებული განცალკევება საერთო წესისაგან სისხლის სამართლის წარმოება, დანაშაულობის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. სასტიკად დაცულ უნდა იქმნეს ის პრინციპი, რომ სასამართლოს განაჩენის გარეშე არ არსებობს არავითარი სასჯელი, არავითარი პასუხის გება.

მერვე. მოსპობა გაძლიერებულ და საომარ წესებისა, მოსპობა სამხედრო და სხვა სასამართლოსი. საერთო ამნისტია იმ პირთათვის, რომელნიც დასჯილ იქმნენ, ესრედ წოდებულ, პოლიტიკურ დანაშაულობისთვის დაწყობილ პროცესებისა. არავითარი შემცირება არ შეიძლება იმ უფლებებისა, რომლის ძალითაც აღიარებულია პიროვნობის ხელშეუხებლობა.

ყველაზე ხანგრძლივი კამათი ამ მუხლმა გამოიწვია. რამდენიმე ორატორმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ხანდახან სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს პიროვნების უფლების დარღვევას. მთავრობას ნება უნდა ჰქონდეს, აგრეთვე, სამხედრო წესების გამოცხადებისა, როცა საჭიროება მოითხოვსო.

ამ საგნის შესახებ იზმაილოვმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ პიროვნების ინტერესები უნდა ბევრად მაღლა დავაყენოთ, ვიდრე სახელმწიფოსი. პიროვნება რეალური არსებობაა, რომელმაც შექმნა მეცნიერება და პოეზია, სახელმწიფო კი ფიქციაა! პიროვნების ბუნებრივ უფლებების დარღვევა არ შეიძლება არავითარ მოსაზრებითაო.

ბ-ნმა იზმაილოვმა არამც თუ მიაღებინა მერვე მუხლი, არამედ დაამტკიცებინა კიდეც ორი ფრაზა. 1) მოსპობა სიკვდილით დასჯისა, რა დანაშაულობაც უნდა ჩაედინოს დამნაშავეს. 2) და პიროვნების უფლება სახელმწიფოს უფლებაზედ მაღლა სდგას.

აი, ეს არის ის პოლიტიკური პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ეცდებიან ერობისა და ქალაქების წარმომადგენლები სახელმწიფო სათათბიროში. შემდეგ შეუდგნენ ნაციონალურ საკითხის გარჩევას.

პოლიტიკურ პროგრამის განხილვის შემდეგ, კრება უნდა შესდგომოდა ეკონომიურ კითხვების განხილვას. მაგრამ რამდენიმე ორატორმა მოითხოვა გადაიდოს ეკონომიური პროგრამის გარჩევა, რადგანაც ეკონომიური კითხვები მეტად რთულია და მათი გარჩევა ერთ დღეში ყოვლად შეუძლებელიაო.

სხვათა შორის, ტვერის წარმომადგენელმა ბატონმა რადიჩევმა სთქვა, რომ პოლიტიკური კითხვების გარჩევა ადვილია, რადგანაც მეცნიერებამ ეს კითხვები მშვენივრად გაარჩია და ცხოვრებამ წინ წამოაყენა. არ შეიძლება ესევე ვთქვათ, აგრარულ საკითხზეც. ყოველ მუხლზე არსებობს ათასი აზრი, და რომელი აზრია მართალი და რომელი არა, ჯერ დაახლოვებითაც კი არ არის გამორკვეული. ამიტომ, აგრარული საკითხის გარჩევის დროს, საერთო დასკვნას ვერ დავადგებითო. გარდა ამისა ჩვენ ვერც კი მოვასწარით აგრარულ პროგრამის პროექტის განხილვა, ამიტომ, რომ მხოლოდ გუშინ გადმოგვცეს ჩვენ უფრო მწვავე კითხვები გვაქვს გასარჩევი. პირველად შევუდგეთ ნაციონალურ საკითხის განხილვას, რადგანაც ეს კითხვა ცხოვრებამ ისეთის სისასტიკით წამოაყენა, რომ იგი უნდა დაუყოვნებლივ იქმნას განხილულიო.

კრონშტადტის წარმომადგენელმა ვოლკოვმა ამაზე უპასუხა, რომ აგრარული საკითხი ეხება [illegible] კითხის გარჩევის წინააღმდეგნი არიან, [illegible] სასტიკ სინამდვილესაო.

კამათის შემდეგ, თავმჯდომარემ კენჭი უყარა იმ კითხვას, თუ რომელი პროგრამა იყოს პირველად შემუშავებული, ნაციონალური თუ აგრარული. კრებამ გარდასწყვიტა უწინ ნაციონალური კითხვა გაარჩიოს.

ამის შემდეგ პროფესორმა კოკოშკინმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება ბიუროსი ნაციონალურ კითხვის და ავტონომიის შესახებ. ამ მოხსენების წაკითხვამ რამდენიმე საათი გასტანა. სხვათა შორის, ამ მოხსენებაში მოყვანილია პოლონეთის მოთხოვნილება ავტონომიის შესახებ, იქვე მოთავსებულია ქუთაისში შედგენილი პროექტი საქართველოს ავტონომიის შესახებ. ბიურო იმ აზრისაა, რომ ვრცელი პროექტის შედგენა ნაციონალურ ავტონომიის შესახებ ადრეულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრებამ აუცილებლად უნდა გამოხატოს თავისი აზრი და განწყობილება სხვადასხვა ერების მოთხოვნილების შესახებ.

კალუგის წარმომადგენელმა კაშკაროვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ რუსეთის იმპერიის გარდაქმნა ფედერატიულ პრინციპების მიხედვით უსაქმო ფანტაზიის ნაყოფია. ესეთი პრინციპები ხალხს ჯერ არ შეუთვისებია, თვით მალოროსიაშიაც ხალხი ფედერაციისკენ არ ისწრაფის. ბ. კოკოშინის მოხსენება ჩვენ გვარცხვენს. მე მხოლოდ მომხრე ვარ პოლონეთის ავტონომიისა, იმიტომ რომ მე მწამს საერთო რუსეთის ფედერაცია კი არა, არამედ სლავიანების ფედერაცია. მე რომ პოლონელი ვიყო, რასაკვირველია, ავტონომიისთვის ვიბრძოლებდიო.

ნემიროვსკის შეაქვს წინადადება, ნუ გვიკრძალავთ კითხვას ავტომომიის შესახებო, მაგრამ დე-რობერტი უპასუხებს: საჭიროა ვიცოდეთ, რამდენია ჩვენში ცენტრალისტი, რამდენია დეცენტრალისტი და რამდენი ავტონომისტიო.

შემდეგ სიტყვა მოითხოვა შესანიშნავმა ორატორმა რუბლევსკიმ, რომლის ყოველ სიტყვაში გამოიხატებოდა სულიერი ძალა და შეგნება თავის ნაციონალურ ღირსებისა. „მე—სთქვა რუბლევსკიმ,—გამოგზავნილი ვარ პოლონელთაგან, რომ გავიგო თავისუფალ მოაზრე რუსებისგან მათი აზრი ნაციონალურ კითხვის და საერთოდ თავისუფლების შესახებ. თუ თქვენ უარს იტყვით ამ მწარე კითხვის განხილვაზე, მაშინ მე წავალ და ვეტყვი მათ, ვინც გამომგზავნა: „თავისუფალ მოაზრე რუსეთმა არ ინება ჩვენთან ლაპარაკიო“.

ბ-ნმა რადიჩევმა შეიტანა წინადადება—გარჩეულ იყოს ჯერ პოლონეთის ავტონომია და შემდეგ საერთოდ კითხვა ყველა განაპირა ქვეყნების შესახებ. ამაზე ავალიშვილმა დასძინა, რომ ეს უსამართლობა იქნებაო.

იზმაილოვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭირო არ არის პოლონეთის კითხვის ცალკე წამოყენე

ბა. ნაციონალურ თვით-გამორკვევის უფლება ჩვენ უნდა პრინციპიალურად გავარჩიოთო. მე მგონია, რომ ესეთი გამორკვევა უფრო დააკმაყოფილებს პოლონელებს, ვიდრე მათ შესახებ ცალკე მსჯელობა. როცა პოლონელები დაინახავენ, რომ ჩვენ ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი ის შეგნება, რომ საჭიროა ვრცელი ნაციონალური თვით-მმართველობა, მაშინ იგინი დარწმუნდებიან, რომ მათი კითხვაც კარგად იქნება გარდაწყვეტილიო.

ამის შემდეგ კენჭი უყარეს იმ კითხვას, ჯერ იყოს გარჩეული პოლონელთა საკითხი, თუ საერთოდ ნაციონალური. კრებამ გარდაწყვიტა ჯერ საერთოდ ნაციონალური კითხვის გარჩევას შეუდგეს.

ერთმა ორატორმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ჩვენს სახელმწიფოში ყოველი მოქალაქე უნდა ბედნიერი იყოს, ამიტომ საჭიროა, რომ განაპირა მცხოვრებლებს ცენტრალიზაციამ სული არ შეუხუთოს. თუ ჩვენ ცხოვრებაში ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ არც ერთი განაპირა მხარე სეპარატიზმზედ აღარ იფიქრებსო.

სიტყვა წარმოსთქვა პოლონეთის დეპუტატმა რუბლევსკიმ. „ჩვენ აქ სათათბიროდ არ მოვსულვართ, დაიწყო რუბლევსკიმ: ჩვენ მოვედით, რომ შეგატყობინოთ ჩვენი აზრები, ჩვენ არ გვინდა პოლონეთის კითხვის ცალკე გარჩევა. ჩვენ გვინდა რომ „პოლონეთის კითხვა“ სამუდამოდ მოისპოს, ჩვენ გვინდა იგი დავმარხოთ. დაიმარხება იგი მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთის სხვადასხვა ეროვნებანი ავტონომიას მიიღებენ. მოგვეცით ჩვენც, ებრაელებსაც და ყველა ერს, უფლება კულტურულ თვითგამორკვევისა და ჩვენ დავკმაყოფილდებით. ჩვენ ამ უფლებას ვთხოულობთ არა მარტო ჩვენთვის, არამედ ებრაელებისთვისაც. თქვენ არ უნდა მიაქციოთ ყურადღება იმას, მრავალ-რიცხოვანია თუ არა რომელიმე ერი! რაადგან არსებობს ეროვნება, დიდია იგი თუ პატარა, მას უნდა ჰქონდეს ნება თვით განაგოს თავისი საქმეები. თუ ყოველივე კრება ეროვნებისთვის ამ უფლებას აღიარებს, მაშინ ჩვენ კმაყოფილნი დავბრუნდებით აქედან. მაშინ ჩვენ ვიტყვით, რომ თქვენ ჩამოგვართვით ხელი, რომელიც გამოგიწოდეთ პოლონელებმა“.

ციმბირის დეპუტატმა პოპოვმა სთქვა, რომ წითელი ხაზით მოსჩანს მთელი რუსეთის ისტორიაში პოლიტიკა გარუსებისა. შემდეგ მან დაახასიათა საშინელი მდგომარეობა ბურიატებისა. აღნიშნა მუნჯი მეთოდით სწავლა პირველ დაწყებით სკოლაში და, დასასრულ ფედერაციის დაარსება მოითხოვა.

ალექსანდროვმა ამას დაუმატა, რომ ჩვენ კარგად გვესმის ის საშინელება, რომელიც ხდება განაპირა მხარეებში. თვით ცხოვრება გვიბრძანებს მოვიღოთ ახალი პრინციპი: ცენტრალიზაციიდან დეცენტრალიზაციის მივმართოთ. ჩვენ გვძულს ცენტრალიზაცია, იმიტომ რომ მხოლოდ მან დაჰბადა სეპარატისტური მისწრაფებანი.

თუ ერი თვითონვე მივა იმ დასკვნამდე, რომ მისთვის საჭიროა ავტონომია, ეს სურვილი უთუოდ დაკმაყოფილებული უნდა იყოს.

შემდეგ ამისა ქუთაისის დეპუტატმა ლორთქიფანიძემ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ასის წლის წინად საქართველო თავისნებით შეუერთდა რუსეთს, ამ ხანში რეპრესიების მეტი მას არა უნახავსრა. საშინელება ხდება ქუთაისის გუბერნიაში, სადაც ნამდვილი ბრძოლაა გამართული რუსის სალდათებსა და გლეხებს შორის. ამიტომ საჭიროა, რომ საქართველოს შესახებ კითხვაც ჩქარა გადაწყდესო. ბ-ნ ლორთქიფანიძის დასაბუთებულმა სიტყვამ ის გავლენა იქონია, რომ კრებამ გადაწყვიტა ავტონომიის შესახებ კითხვის გარჩევას. შეუდგეს, ჯერ კი პირველად შეიმუშაოს საერთოდ „ნაციონალური უფლებანი“.

პირველი. რუსეთის ძირითადმა კანონმა უნდა უზრუნველ ჰყოს უფლება კულტურულ თვით გამორკვევისა ყველა ეროვნებისთვის, რომელნიც სცხოვრობენ რუსეთის იმპერიაში. აღიარებულ უნდა იქნას სრული თავისუფლება სხვადასხვა ენის ხმარებისა საზოგადო ცხოვრებაში, თავისუფლება კრებისა და კავშირებისა, კერძო სასწავლებლებისა და ყოველნაირ დაწესებულებათა, რომელთაც მიზნად აქვთ შენახვა და განვითარება ენისა, ლიტერატურისა და ეროვნულ კულტურისა.

მეორე. რუსული ენა უნდა დარჩეს ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებების, არმიის და ფლოტის ენად.

მესამე. სასწავლებლებში, რომელნიც არსებობენ სახელმწიფო ანუ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოს ხარჯით, კითხვა ენის შესახებ უნდა გადაწყვიტოს იმ სახელმწიფო, ანუ საზოგადოებრივმა დაწესებულებამ, რომლის ხელშიაც არსებობს სასწავლებელი. ამასთანავე უნდა თვალყური ედევნოს, რომ ყველგან ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პირველ დაწყებითი და, თუ შესაძლებელია, შემდეგი სწავლაც მიიღოს თავის სამშობლო ენაზე.

მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაცია.

პირველი. ამ ადგილობრივ თვითმართველობის დაწესებულებათ უნდა ექვემდებარებოდეს მთელი ოლქი თვითმართველობისა, მისი პოლიცია და ცხოვრების ყველა დარგები, გარდა იმ დარგებისა, რომლებიც თანამედროვე სახელმწიფო ცხოვრების პირობების მიხედვით აუცილებლად ცენტრალიზაციას თხოულობენ.

მეორე. მოღვაწეობა ცენტრალურ უფლების ადგილობრივ თვითმართველობისა უნდა მდგომარეობდეს მხოლოდ ზედამხედველობაში, რომ ადგილობრივ თვითმართველობამ კანონიერად იმოქმედოს. თუ ამ ნიადაგზედ უთანხმოება მოხდა ცენტრალურ უფლების წარმომადგენელთა და თვითმართველობის შორის, მაშინ ეს უთანხმოება სასამართლომ უნდა გადასწყვიტოს.

მესამე. ადგილობრივ თვითმართველობას უნდა ჰქონდეს ვრცელი უფლება, კანონების ფარგალში, გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი.

სამი მუხლი ნაციონალურ უფლებათა შესახებ კრებამ ერთხმად მიიღო, მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაცია კი—უმეტესობამ, 3 ხმის წინააღმდეგ. ამის შემდეგ გადავიდნენ ავტონომიისა და ფედერაციის განხილვაზე. ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია, მაგრამ, იზმაილოვის, როდიჩევის, პროფესორ კოკოშკინის, ლუჩიცკისა და კოვალევსკის მეოხებით, ფედერატიულმა პრინციპმა გაიმარჯვა. ამ კამათის შინაარსსა და რეზოლიუციებს შემდეგ წერილით შეგატყობინებ.

შ. ნ.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

19 სექტემბერი.

ყაზანი, 18 სექტემბერი. საბირჟო კომიტეტმა თავის ორ წარმომადგენელს დაავალა, პეტერბურგში ფინანსთა მინისტრს წარუდგინოს მოხსენება, რომ ბირჟა ვერავითარ ზომებს ვერ დაუსახელებს, ბაქოში მომხდარ ამბების მიზეზები მთავრობამ იცის და ამიტომ ზომებიც მთავრობას უფრო კარგად ეცოდინება. ნავთის კრიზისი ნავოსნობაზე ძალიან ცუდად იმოქმედებს. ბევრმა გემმა მოქმედება უკვე მოსპო. თუ ნავთის კრიზისი გაზაფხულამდის გაგრძელდა, ხორბალი ნავთ-სადგურში დარჩება. ნავთის საქმეს უსათუოდ მალე უნდა ეშველოს რამე.

თეირანი, 18 სექტემბერი. დერსის კომპანიამ, რომელიც სპარსეთში, ქერმანშახის ოლქში, ნავთს აწარმოებდა, მუშაობა მოსპო, რადგანაც მუშაობა სრულიად უნაყოფოდ რჩებოდა. კომპანიას თავისი მოქმედება არაბისტანში გადააქვს. ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვით, იქაური ნავთიც დაბალ ხარისხისაა.

პარიზი, 18 სექტემბერი. თავის ინტერესების დასაცველად, ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის უწყებათა მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს, სინდიკატები დაარსონ.

მბიცა, 18 სექტემბერი. მბიცის მახლობლად ორი გემი ერთმანეთს დაეჯახა. ერთი გემი ჩაიძირა, სამის კაცის გარდა, მთელი ეკიპაჟი დაიღუპა. ჯერ არ იციან, გემი რომელ სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

პეტერბურგი, 19 სექტემბერი. ჩვენ დაგვავალეს გამოვაცხადოთ, რომ ვიტტეს პარიზიდან წასვლის შემდეგ, პრესსის არც ერთს წარმომადგენელთან არ ულაპარაკნია და მის საზღვარ-გარედ ყოფნის შესახებ არაფერი გადაუცია. ამიტომ ყველა ცნობები მის ამერიკასა და რომინტენის ციხე-დარბაზში ყოფნის შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

სტამბოლი, 19 სექტემბერი. პორტამ სახელმწიფოთა კოლლექტიურ ნოტაზე უპასუხა, რომ მაკედონიაში ფინანსების საერთაშორისო კონტროლის პროექტს არ მიიღებსო.—მუსულმანებს სომხების წინააღმდეგ აღძვრება ეტყობათ. ხოცვა-ჟლეტა მაინც მოსალოდნელი არ არის. სომხის პატრიარქი ემუდარება მცხოვრებლებს, მთავრობის ერთგულებით იყავით და რევოლიუციონერებს ყურადღებას ნუ მიაქცევთო.

ბერნი, 19 სექტემბერი. საკავშირო საბჭომ გააგის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა განაცხადა. შვეიცარია თავის თავზე წითელი ჯვრის საკითხებს იღებს.

პეტერბურგი. თუმცა ამჟამად ბაქოში საშინელ ამბები ხდება, მაგრამ ბაქოს სკოლებში სრულებით არავითარი მღელვარება არ მომხდარა. განზრახულია, ჩვეულებრივი მეცადინეობა დაიწყოს არა უგვიანეს 25 სექტემბრისა.

საგანგებო საბჭოს წევრთა უმრავლესობა, რომელსაც მინდობილი აქვს უმართებულეს სენატის ადმინისტრატიულ დეპარტამენტთა რეფორმის შემუშავება და სხდომის დარბაზში ხალხის დასწრების შესახებ საგნის გადაწყვეტა, იმ აზრს დაადგა, რომ ეს საგნები უნდა შეწყნარებულ იქმნასო.

როგორც ისმის, ჯარების დემობილიზაცია დამთავრდება მხოლოდ 1906 წლის მარტის გასულს. დემობილიზაციის გეგმა ჯერ არ შეუმუშავებიათ.

შარლოტტენბურგი, 18 სექტემბერი. „თეგლიხე რუნდშაუ“ მსჯელობს ინგლის-იაპონიის კავშირზე და ამბობს,—ეს კავშირი ყველაზე უფრო რუსეთს ემუქრება, რადგანაც იგი უარჰყოფს რუსეთის მნიშვნელობას, როგორც დიდ სახელმწიფოს ლტოლვილებს აღმოსავლეთ აზიასა, თიბეთსა, სპარსეთსა და ავღანისტანში, და გამოდის ინგლის-იაპონიის საზოგადო ინტერესების დამცველადაო.

ხარკოვი, 19 სექტემბერი. აქაურ გაზეთ „იუჟნი კრაი“-ს რედაქტორ-გამომცემელს იოზეფოვიჩს ნება მიეცა გამოსცეს ხარკოვში, მისის რედაქტორობით, უწინასწარ-ცენზუროდ იაფი ყოველდღიური გამოცემა, სახელად „გაზეთი“. წლიწადში ეღირება 3 მანათად.

ვარშავა, 19 სექტემბერი. ვარშავის უნივერსიტეტის რექტორმა გამოაცხადა: საერო განათლების მინისტრმა ნება დართო, რომ უნივერსიტეტში სწავლის დაწყება 15 ოქტომბრამდე გადადოსო.

კიევი, 19 სექტემბერი. მოვიდა ქვეითა ჯარების გენერალ ინსპექტორი გენ.-ადიუტ. გრიპპენბერგი.

ტოკიო, 19 სექტემბერი. გაზეთების კორესპონდენტები და სამხედრო აგენტები, რომელნიც მანჯურიიდან ბრუნდებიან, ამბობენ,—სწორედ იმ დროს, როდესაც ზავი ჩამოვარდა, მარშალ ოიამას შეეძლო ერთის დაკვრით მთლად გაენადგურებინა გენერალ ლინევიჩის ყველა ჯარი.

პარიზი, 19 სექტემბერი. დღეს ლუბეს თავმჯდომარეობით დაიწყო ჭლექის საწინააღმდეგო კონგრესი.

ხირაშიმში სამხედრო საწყობში ცეცხლის გაჩენის მიზეზად ბოროტ-მოქმედებას ასახელებენ. ზარალი გამოანგარიშებულია 25,000,000 ფრანკი.

„მატენ“-ი იუწყება, ოსმალეთის ხონთქარი დასთანხმდა, რომ გერმანიას კუნძულ ტაროსზე საზღვაო სადგურის დაარსების ნება მიეცეს.

როგორც „ნიუ-იორკის გაზეთი“ იუწყება, ჩინეთს განუზრახავს გერმანელთა გაძევება შანტუნიდან.

პარიზი, 19 სექტემბერი. დე დრეიფუსი იზერში დეპუტატად ამოირჩიეს.

ვარშავა, 19 სექტემბერი. სახალხო განათლების მინისტრმა ნება დართო რექტორს, უნივერსიტეტში სწავლის დაწყება 15 ოქტომბრისთვის გადადოს.

რეფორმები რუსეთში

საკითხი კრების გამართვის შესახებ მალე ვერ გადასწყდება. გრაფ სოლსკის კომისიის უკანასკნელ სხდომაზე კრება ორ ბანაკად გაიყო: ერთნი ამბობდნენ, საჭიროა კრებებზე ლაპარაკის სრული თავისუფლება მივცეთო, მეორენი კი ამტკიცებდნენ, საჭიროა კრება მთავრობის კონტროლს დავუქვემდებაროთო (რ.).

◆ ციმბირს სახელმწიფო სათათბიროში სულ **12 წარმომადგენელი ეყოლება:** ტობოლსკის გუბერნიიდან 4, ტომსკსა—3, ირკუტსკისა—2, ენისეისა—2, იაკუტის ოლქიდან—1 (რ. ვ.).

◆ მეურნეობის მთავარ სასამართლოს გამგეს თანაშემწე კრივოშეინი და საერობო საქმეთა გამგე ლოხინოვ ლოხინსკი უკვე შეუდგნენ საერობო დებულების შეცვლისათვის საჭირო მასალის მომზადებას. **განზრახულია, რუსეთში ისევ 1864 წლის დებულება შემოიღონ** (რ. ვ.).

◆ ცნობილმა ინგლისელმა ჟურნალისტმა სტედმა ,,მოსკ. ვედ''-ში ისეთი შინაარსის წერილი დაბეჭდა, რომ რუს ,,პატრიოტებსაც'' გადაჰკრა. ამის გამო ,,სინ ოტეჩესტვა'' რედაქცია დეპეშით სთხოვს მოსკოვის გაზეთებს, სტედს გადაეცით, რომ მთავრობას სთხოვოს, **ნება მოგვცენ სტედს პასუხი გავცეთო,** თორემ ცენზურა ისეთ წერილებს არ გვაბეჭდვინებს, რომლებშიაც სტედის ქება არ არისო (რ.).

◆ სამხედრო სამინისტრომ შეადგინა **პროექტი გვარდიისა და არმიის ოფიცრების გათანასწორებისა** უფლებების მხრივ. არმიაში მოისპობა პოდპოლკოვნიკის ხარისხი; ამიერიდან გვარდიისა და არმიის კაპიტნებს პირდაპირ პოლკოვნიკის ხარისხს მისცემენ (უ. ს.).

◆ როგორც ვიცით, მინისტრებსა და დიდ მოხელეებს უფასო სადგომი ეძლევათ ხაზინის ხარჯით. ამის გამო პეტერბურგის ქალაქის საბჭო გაჭირვებაშია ჩავარდნილი და არ იცის, ისინიც ჩაიტანოს საარჩევნო სიაში თუ არა. სახელმწიფო სათათბიროს დებულებით, საარჩევნო ხმა იმათაც ეძლევათ, ვინც სადგომის გადასახადს იხდიან, მინისტრები და დიდი მოხელეები კი, რომელთაც ხაზინის ხარჯით ეძლევათ [illegible] გადასახადს არ იხდიან. მთავრობამ ეს საკითხი უნდა გადასწყვიტოს, მაგრამ იმედია, რომ მინისტრები ამ მხრივაც არ დაიჩაგრებიან (ს. ო.).

◆ ამას წინად სოლსკის კომისიამ გამოაცხადა, პოლონეთშიაც ისეთივე წესით უნდა მოხდეს არჩევანი, როგორც შუა რუსეთში, ე. ი. 250,000 კაცზე ერთი დეპუტატი უნდა აირჩიონო. სოლსკის კომისიის ანგარიშით, პოლონეთს 36 დეპუტატი ერგება; მაგრამ აღმოჩნდა, რომ **სოლსკის კომისიას ანგარიში შეშლია:** პოლონეთის პუბლიცისტებმა ციფრებით დაამტკიცეს, რომ პოლონეთს 44 დეპუტატი ერგებოდა, თუ პოლონეთშიაც ისეთივე არჩევნები ყოფილიყო, როგორც შუა რუსეთში იქნება (ს. ო.).

ახალი ამბავი

სახალხო კითხვების მმართველობას სხდომა ჰქონდა სახალხო კითხვების მოსაწყობად. კრებას 30 კაცამდე დაესწრო. კრებამ საქმის მოსაწყობად აირჩია კომისია ათის კაცისაგან, რომელმაც უნდა წარუდგინოს კრებას თავისი მოხსენება. პირველი კრება დანიშნულია პარასკევს, 23 სექტემბერს. კრებამ ჯერჯერობით დაადგინა იქონიოს 3 აუდიტორია სახალხო კითხვებისათვის. პირველი ავჭალის აუდიტორია იქნება, მეორე სავაჭრო სკოლის დარბაზში და მესამე კუკიაში, სტრელკოვი ქუჩაზე, ფეფელოვის სახლში. უკანასკნელ აუდიტორიაში კითხვები მხოლოდ ბავშვებისათვის გაიმართება.

◆ **ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა დაამთავრა 12 მოწაფემ,** რომელნიც გამოცდნენ სექტემბრის პირველ რიცხვებში. მათი გვარები: აზიკურაშვილი ნიკოლოოზი, ბარნაბაშვილი ნიკოლოოზი, ვეფხვაძე მიხეილი, ისაევი ეფრემ (აისორია), ქიმერიძე კონსტანტინე, ლომაური იოსები, მაჭავარიანი ილია, პოლტოვი გრიგორი (ბერძენი), სარალიძე ლავრენტი, ხიოსელაშვილი გიორგი, ქოგოვაძე ილარიონი და იაკაშვილი არჩილი. ამათში 6 კაცმა სწავლა პირველ ხარისხით გაათავა, ხოლო დანარჩენებმა მეორეთი.

◆ ქალაქის ხმოსნების სამსახურიდან გადადგომის გამო გუბერნატორის შეკითხვაზე, ქალაქის გამგეობამ უპასუხა, **საბჭოს ხმოსნების კანდიდატებად აღარავინ არის,** რადგან ამ სამი წლის განმავლობაში საბჭოს შესავსებად ყველანი იქმნენო მოწვეული.

◆ განჯის გუბერნიაში წეს-რიგის აღსადგენად **დაინიშნა გენერალი თაყაიშვილი,** რომელიც ამ გუბერნიაში მყოფ ჯარების უფროსადაც იქნება.

◆ ერევანში ამ დღეებში შეტაკების მსხვერპლი 20 კაცია, აქედან 11 დაჭრილი და 9 მოკლული. სომეხი მოკვდარა 2, თათარი—7.

◆ როგორც ზემო ხევდურეთიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ, იქ **მოუკლავთ ადგილობრივი მემამულე ი. ე. ციციშვილი.** პოლიციამ ეჭვი მიიტანა და შეიპყრო შ. ჯაბიაშვილი, ნ. ქუთიძე და მ. კავსაძე.

◆ საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით სემინარიის **ყველა მოწაფენი დათხოვნილ იქმნენ** სემინარიიდან ახალ განკარგულებამდე, გუშინ, 20 აგვისტოს, ყველა მოწაფეებმა მიიღეს გზის ფული და სოფლებში წავიდნენ.

◆ გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას **დაუბრუნა ხმოსანთა სამსახურიდან გადადგომის**

ფელეტონი

დედაკაცი ამერიკის შეერთებულ შტატებში

სოციალური პროგრესი ბუნებრივ მსვლელობის ძლიერებით თანდათან არღვევს ძველ ურთიერთობას და ჰქმნის ახალ დამოკიდებულებათ. ამ მუდმივ რღვევისა და შემოქმედების პროცესში ჩვენ ერთ ძირითად მოვლენას ვამჩნევთ: საზოგადოებაში არსებული უთანასწორობა თანდათან ისპობა, საზოგადოების ჯგუფების შორის აგებული სოციალური კედლები თანდათან ირღვევა და თანასწორობის პრინციპი გამარჯვების გზას ადგება. ამ თანასწორობისკენ მსვლელობაში ჰმონაწილეობს დედაკაციც, რომელიც უფლებრივად მამაკაცს თანდათან უთანასწორდება.

მამაკაცთან უფლებრივ გათანასწორებაში დემოკრატიულ ამერიკის დედაკაცმა დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ. მოქალაქობრივ უფლებებით დედაკაცი მამაკაცს სრულიად გაუთანასწორდა.

როგორც ქმრიანს, ისე გასათხოვარ ქალს, დიდი ხანია, უფლება აქვს თავისი საკუთრება, როგორც სურს, ისე მოიხმაროს. ამასთანავე მთელ ქვეყანაზე ქალს ჯერ ისე არსად არ მოუპოვებია ფართო უფლებები საზოგადოებრივ სარბიელზე სამოღვაწეოდ, როგორც ამერიკაში. არც ერთი ხელობა არ არის, რომ ამერიკელი ქალი მონაწილეობას არ იღებდეს: ურიცხვია იქ ექიმი ქალი, ბევრია იურისტიც. რაც შეეხება სამასწავლებლო სფეროს, ის ხომ, თქმაც არ უნდა, სავსეა ქალებით. ქალები ასწავლიან, როგორც საქალებო, ისე სავაჟო სასწავლებლებში და თვით საზოგადოებაც აქეზებს და ყოველგვარ დახმარებას უწევს ამგვარ მათ მოღვაწეობას. დასავლეთის შტატებს ზოგიერთ კონსტიტუციაში პირდაპირ აღიარებულიცაა, რომ ქალს მამაკაცთან თანასწორი უფლება აქვს—შევიდეს ყოველ პროფესიაში და აგრეთვე იკისროს ყოველი თანამდებობა. აქვე უნდა გავიხსენოთ ქალების თანასწორობა მამაკაცებთან აღზრდაშიაც. როგორც პირველ დაწყებით და საშუალო სასწავლებლებში, ისე ბევრ უმაღლეს სასწავლებლებშიაც ქალები ვაჟებთან ერთად სწავლობენ. ერთის სიტყვით, ამერიკის მოქალაქეობრივ ცხოვრებაში დედაკაცი თითქმის სრულიად გაუთანასწორდა მამაკაცს, გარდა პოლიტიკურ უფლებების მხრივ, მაგრამ აქაც დედაკაცის უფლება გაცილებით მეტია, ვიდრე ევროპის სახელმწიფოებში. პოლიტიკური უფლებების მოპოება ყოველთვის ბრძოლის შედეგია. უფლება იმასა აქვს, ვინც იბრძვის.

ამერიკის რესპუბლიკის დაარსება არა ჰგავს სხვა ქვეყნების ისტორიას. მაშინ, როდესაც ძველ ქვეყნებში ხალხი მხოლოდ შეუწყვეტელის ბრძოლით იკაფავდა გზას უფლებრივ თავისუფლებისაკენ, ამერიკის სახელმწიფოები დაარსებიდანვე დემოკრატიულ პრინციპებზე იყვნენ დამყარებულნი. ყოველმა შტატმა თავის კონსტიტუციას წაუმძღვარა ადამიანის უფლებათა დეკლარაცია. ამ დეკლარაციებში ყოველგან განსაზღვრულია მოქალაქის ბუნებრივი, ანუ განუყოფელი უფლებანი. ცნობილია, რომ დემოკრატია არაა იქ, სადაც პიროვნებას აწევს მოვალეობა და უფლება კი არა აქვს.

ამნაირად, თითოეულის შტატის ძირითადი კანონები ყოველ მცხოვრებს ანიჭებს მოქალაქობრივ უფლებებს, როგორც მაგალითად, პიროვნების და საკუთრების დაცვის უფლება. ამ უფლებებში ქალი თანასწორია მამაკაცთან. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ეს უფლებები, ასე ვთქვათ, პასსიური უფლებებია. არის კიდევ უფლება აქტიური: რესპუბლიკის გამგებლობაში პირდაპირ მონაწილეობის მიღება, სახელმწიფო ძალის პირდაპირი განხორციელება. რესპუბლიკის დაარსების პირველ ხანებში არავინ ფიქრობდა, რომ ქალი პოლიტიკურ სარბიელზე გამოვა და მამაკაცთან გათანასწორებას მოინდომებს. მაგრამ ცხოვრებამ პირდაპირ წამოაყენა ქალის-მიერ პოლიტიკურ უფლებების შეძენის აუცილებლობა.

როგორც მოგეხსენებათ, ამერიკის რესპუბლიკაში არსებობდა მონობა. დასავლეთ შტატებში ურიცხვი ზანგები მონურ მდგომარეობაში იყვნენ. მონა—ზანგი საქონელი იყო, რომლითაც ვაჭრობდენ. ჩრდილოეთის სამრეწველო შტატები დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელია მოქალაქობრივი ცხოვრების მოთავსება მონობასთან ერთად. გაიმართა ბრძოლა მონობის მომხრეთა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. ამ ბრძოლის შედეგი იყო საოცარი სისასტიკის მოქალაქობრივი ომი, რომელიც დასრულდა ჩრდილოელთა გამარჯვებით და მონობის მოსპობით. აი, სწორედ ამ ბრძოლის დროს, ამერიკაში ქალი პირველად გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე.

თითოეული პარტია ერთმანეთის ბრძოლაში თავის პოზიციას თეორიულად ამართლებდა. მონობის წინააღმდეგი პარტია ამტკიცებდა, რომ თანასწორობა აბსოლუტური და შეურყეველი ჭეშმარიტება არისო. ის არის საზოგადოების არსებობის შეურყეველი პრინციპი, რომელიც თანასწორად ეხება ყოველ ადამიანს, რა რასისაც უნდა იყოს. აქ ქალებიც ჩაერივნენ საქმეში. თუ ზანგი თეთრის თანასწორი უნდა იყოს, რატომ ქალი კი არ უნდა გახდეს მამაკაცის თანასწორიო? ეს მხოლოდ თეორიული მსჯელობაა. მაგრამ ამ თეორიულ მსჯელობას შესაფერი პრაქტიკული მოქმედებაც მოჰყვა. ამერიკაში შესდგა ძლიერი პოლიტიკური პარტია, პარტია აბოლიციონისტებისა, რომელმაც მიზნად დაისახა მონობის მოსპობა. ქალები გატაცებით იღებდნენ მონაწილეობას აბოლიციონისტების პარტიაში და თავგანწირულად იბრძოდნენ ამ პარტიის მიზნისათვის. ამნაირად, ქალები მონაწილე გახდნენ ბრძოლის რისკში და მონაწილე უნდა გამხდარიყვნენ გამარჯვების შედეგშიაც. მათ მოიპოვეს პოლიტიკური ძალა, დაამტკიცეს თავისი პოლიტიკური სიმწიფე, მოქალაქობრივ უფლებათა უმაღლესი შეგნება და ამ უფლებისათვის ბრძოლის უნარი. პოლიტიკურ უფლებებს მოითხოვდნენ იმ შემთხვევაშიაც, რომ ზანგების განსათავისუფლებელი ბრძოლა არ ყოფილიყო. ამ მოვლენამ მხოლოდ შემთხვევით დააჩქარა დედაკაცთა-მიერ პოლიტიკურ უფლებათა მოპოების საკითხის წამოყენება.

გათავდა თუ არა ომი და მიენიჭა რა ზანგებს მოქალაქობრივი უფლება, რესპუბლიკის ყოველ კუთხეში დაარსდა ორგანიზაციები ქალთა პოლიტიკურ უფლების მოსაპოებლად. ყოველ წლივ ამ საზოგადოებების წარმომადგენელნი მართავენ საერთო კრებას, კონვენტს, სადაც ითვალისწინებდნენ მოქმედების პროგრამას. ყოველ კონგრესში შეაქვთ ფედერალურ კონსტიტუციის შესწორების პროექტი, რომელიც მოითხოვს, რომ ქალებს საარჩევნო უფლება მიენიჭოს. მაგრამ დღემდისაც კონგრესს არ მიუღია ეს შესწორება. მარა თუ ასეა ქალთა საქმე ფედერალურ გამგებლობაში, სამაგიეროდ ზოგიერთ შტატებში ქალები პოლიტიკურად მამაკაცებს სრულიად გაუთანასწორდნენ. ამ მხრივ პირველობენ შტატები: ვაიომინგი, კოლორადო, უტა და აიდაჰო.

პირველად ქალთა პოლიტიკურად მამაკაცებთან უფლებრივი გათანასწორება განახორციელა ვაიომინგმა, 1889 წლის კონსტიტუციით. აქ ქალებს აქვთ სრული საარჩევნო უფლება, როგორც კომუნალურ, ისე პოლიტიკურ არჩევნებისა. დანარჩენი შტატები დიდის ყურადღებით ეპყრობიან ამ პოლიტიკურ გათანასწორებას და ხშირად შეეკითხებიან ხოლმე ვაიომინგის მთავრობას, თუ რა აზრისაა ის სქესების პოლიტიკურად გათანასწორებაზე. რეფორმის შესახებ მთავრობა ყოველთვის საუკეთესო აზრს იძლევა. 1893 წელს ვაიომინგის ნაციონალურმა კრებამ შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: „ოცერ მეოთხედი საუკუნეა, რაც ვაიომინგის ქალებს მიენიჭათ ხმა, და ამ გარემოებას არამც თუ ვნება არა მოუტანიარა, პირიქით, ბევრ მხრივ ფრიად კარგი შედეგი მოჰყვა, თვალსაჩინოდ ხელი შეუწყო ავკაცობის და სხვა ბიწიერების მოსპობას, სიღარიბის შესუსტებას და სწორ და მშვიდ არჩევნების უზრუნველყოფას. საზოგადოებების საქმეში ქალების მონაწილეობას მიეწერება ისიც, რომ არც ერთ კომუნას ვაიომინგში — ამას ჩვენ სიამაყით ვაცხადებთ—აღარა სჭირია ღარიბების თავშესაფარი სახლები, რომ უმეტეს შემთხვევაში ჩვენის სატუსაღოები ცარიელია და რომ დანაშაულობანი, გარდა უცხოელების-მიერ ჩადენილთა, ჩვენთვის თითქმის უცნობია. ვუელმძღვანელობთ ამ ჩვენი გამოცდილებით და ვურჩევთ ყოველ განათლებულ მხარეს, მიანიჭოს ქალებს „ხმის უფლება“. ვაიომინგის გუბერნატორმა ამას დასძინა: „მე სავსებით ვეთანხმები ჩვენის საკანონმდებლო კრებულის განცხადებას. ოცდახუთის წლის ცდამ ყოველ მხრივ წარჩინებული შედეგი მოგვცა. ქალთა საარჩევნო უფლების მიანიჭების წინააღმდეგებს არც ერთი აზრი არ გაუმართლდათ. მე გულით მოწადინებული ვარ, რომ სხვა შტატებმაც მიჰბაძონ ჩვენს მაგალითს“.

საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ქალთა თანასწორობის მომხრენთ არა ერთხელ მიუციათ წინადადება მოწინააღმდეგეთათვის-გამოეძებნათ ვაიომინგში თუნდ ორი კაციც, რომელნიც აღნიშნავდნენ რაიმე ცუდ შედეგს შტატის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების-მიერ მონაწილეობით გამოწვეულს, მაგრამ დღემდისაც ამ მოწოდებაზე არავის პასუხი არ გაუცია. ვაიომინგის ცდა წაუბაძავი არ დარჩა. კოლორადოს შტატში, 1893 წელს, მიღებულ იქმნა რეფერენდუმით, 6,347 ხმის უმეტესობით, კანონ-პროექტი, რომლითაც ქალი პოლიტიკურათ მამა-კაცს გაუთანასწორდა. შტატებში უაიატსა და პიდაგში ქალებს მიენიჭათ თანასწორობა 1896 წელს. უკანასკნელ შტატში კენჭის ყრაში მონაწილეთა ორი მესამედი აღმოჩნდა ქალების მომხრე. აქ ისიც საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მონტანისა, სამხრეთ დაკოტასა, კანზასი, არიზონისა ნაკვეთისა, ორეგონისა და კალიფორნიის შტატების საკანონმდებლო კრებულმა წინადადება მისცა ხალხს—შეეცვალოთ ძირითადი კანონები იმ სახით, რომ ქალებს მიენიჭოს სრული საარჩევნო უფლებაო. მაგრამ რეფერენდუმმა უარყო მათი წინადადება. ხოლო ეს უარყოფა კალიფორნიაში შედეგი იყო ჩინელების ხმებისა, სამხრეთ დაკოტაში კი ემიგრანტებისა, განსაკუთრებით რუსებისა. კოლორადოში ქალებმა დიდის ხალისით მოჰკიდეს ხელი პოლიტიკურ მოქმედებას, არჩევნების უფლება მესამე წელიწადს ჰქონდა 80,000 ქალს. მათში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 65,000 ქალმა. ამერიკის ცნობილი ისტორიკოსი ადამსი თავის ,,კანზასის მიმოხილვაში'' სწერს: ,,ქალების კენჭის ყრაში მონაწილეობის ცდა გადაჭრით გვეუბნება თანასწორობის სარგებლობას. ქალები დიდი ყურადღებით ეპყრობიან კომუნალურ არჩევნებს, მათ განსაკუთრებით აინტერესებს საზოგადოების მოწყობა (უმეტესად სასკოლო საქმისა და საზოგადოებრივ ჰიგიენის გაუმჯობესება). ცდამ დაგვანახა, რომ ქალები სარგებლობენ საარჩევნო უფლებით ზომიერად, პატიოსნად და სინდისიერად. მათი არჩევნებში მონაწილეობა კიდევ იმ მხრით გამოდგა სასარგებლო, რომ მამა-კაცებიც, მათის მაგალითით წახალისებულნი, მეტის ინტერესით ეპყრობიან საზოგადო საქმეებს“. მოვიყვანოთ ქალების აზრიც. კოლორადოს საკანონმდებლო კრებულის წევრმა, მართა კონინმა, 1899 წელს, ვაშინგტონში წარმოსთქვა სიტყვა, და სხვათაშორის, სთქვა: „კოლორადოში ქალების ფერეინები უმეტესად სოციალურ და ეკონომიურ კითხვებს იმუშავებენ... ამ ნაყოფიერ შრომაში მათ აღფრთოვანებს იმის შეგნება, რომ მათ თავისი ხმით შეუძლიანთ გავლენა იქონიონ თავის ქვეყნის კანონმდებლობის მიმართულებაზე“. მეორე ქალი, უტის სენატორის, მართა ჰუგეს თავის

დადგენილება და აცნობა, კარგი იქნიბა, თუ ხმოსნები ისევ სამსახურში დარჩებიანო.

◆ მიწად-მოქმედების გამგეობის ერთ მოსამსახურეს გვარად დუბოვეცკის ამხანაგებმა თავიანთი ხიზღი გამოუცხადეს კოლექტიურ განცხადებით და გამგეობის უფროსს სთხოვს მისი დათხოვნა. უფროსმა შეიწყნარა მოსამსახურეთა შუამდგომლობა და დუბროვეცკი სამსახურიდან დაითხოვა.

◆ ჩვენმა პოეტმა **აკაკი წერეთელმა შუამდგომლობა აღძრა** კავკასიის ნამესტნიკის წინაშე ნება მიეცეს მას, გამოსცეს ყოველკვირეული იუმორისტიული სურათებიანი ჟურნალი ,,ხუმარა''.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, **სამღვდელოებამ გარდასწყვიტა**—ახალ პროგრამის შემუშავებამდე სამრევლო სკოლებში სწავლა არ დაეწყოთ. როგორც გავიგეთ, ხარფუხის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სამრევლო სკოლაში სწავლა უკვე დაუწყიათ.

◆ **გორის მაზრაში შემდგარი ის კომისია,** რომელმაც უნდა მოარიგოს ადგილობრივი მემამულენი და გლეხნი, ორ კვირას ქარელში მოქმედობდა, ამ ჟამად კი გორშია. იქვე მივიდნენ კაზაკები და ჯარის ერთი ნაწილი, რომელიც კომისიას თან ახლავს. კომისია გორში ერთ კვირას დარჩება, შემდეგ გაემგზავრება ბორჯომში და იქიდან საფალავანდოში.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა შეიწყნარა **შუამდგომლობა ტფილისის რეალურ სასწავლებლის გამგეობისა** სწავლის ფასის მომატების შესახებ. ამიერიდან მოწაფეებს წლიურად 70 მანეთი გადახდებათ

◆ ორშაბათს, 19 სექტემბერს, ელისაბედის ქუჩაზე ვაგონის ქვეშ ვიღაცას პეტარდა დაედო. პეტარდაი ისე მძლავრად იფეთქა, რომ ვაგონი სრულიად დაიმსხვრა და გაფუჭდა. ამას გარდა ახლო-მახლო სახლების ჯანჯლოები სულ ერთიანად ჩაილეწა. ზოგს მგზავრებს გული შეუწუხდათ.

◆ **„ტაიმს“ის კორესპონდენტი ბ. გორდონ ბრაუნი** და მილანის გაზეთისა ბ. ვილლარი 15 სექტემბერს კავკასიის ნამესტნიკთან იყვნენ და ამ ორი დღის წინად ერევანში გაემგზავრნენ; შემდეგ მოივლიან ნახიჩევანსა, ალექსანდროპოლსა, ეჩმიაძინსა, და ყარსსა.

◆ ტფილისში ჩამოვიდა და სასტუმრო ორიანტში ჩამოხტა ბაქოში მყოფი სპარსეთის კონსული ხასან-ხან- მაზედას-სულთანი.

◆ ავშაროვის სამხედრო ქარხანაში, დიდი მთავრის ქუჩაზე, ორშაბათს, 19 აგვისტოს, მუშაობის დროს, მუშა ი. ნ. კრისტიაშვილს მანქანამ ხელი მოსწყვიტა.

◆ ანდრეევის ქუჩაზე, ვეზიროვის სახლიდან ქურდებს გაუტანიათ 1050 მანეთის სხვადასხვა ნივთები.

◆ მეხუთე საპოლიციო უბანში მეორე გილდის ვაჭარის გ. ყარაოღუზოვის მაღაზია გაუქურდავთ და წაუღიათ ფულად 88 მანათი, 200 მანათის საქონელი და 600 მანათის ვექსილი.

◆ **ქალაქის ხორცის დუქნები დაიკეტა.** ქალაქმა ამ დუქნებით 95,000 მან. იზარალა.

ქუთაისის ცხოვრება

როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ შეიმუშავა პეტიცია, რომელიც წარუდგინა, როგორც ადგილობრივ უმაღლეს სასულიერო მთავრობას. ისე უწმინდეს სინოდს, სამღვდელოებას მხარი დაუჭირა ქალაქის საბჭომაც და თავის მხრით წარუდგინა ხსენებული პეტიცია მინისტრთა საბჭოს. როგორც ამჟამად მინისტრთა საბჭოს საქმეთა გამგე გოფმეისტერი ვუიჩი ატყობინებს ქალაქის მოურავს, პეტიცია წარუდგენიათ ხელმწიფე იმპერატორისთვის, რომელსაც კეთილ-უნებებია ებრძანებინა: ,,რადგან ამგვარივე შუამდგომლობა წარედგინა უწმინდეს სინოდს, ამიტომ ხსენებული საქმე წარეგზავნოს კავკასიის ნამესტნიკს თავისი აზრის წარმოსათქმელადო''.

შტატში ქალთა თანასწორობის კანონი [illegible], ამბობს; „უტაში ქალებს უკავიათ უმაღლესი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ადგილები და და აგრეთვე საკანონმდებლო კრებულის წევრებადაც არიან. მათი საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის ნიჭი ჩვენში ისეთვე უცილობელად არის ცნობილი, როგორც ქალის ნიჭი უცილობელია სახლის წესიერ მოწყობაში“. ჩვენ კიდევ შეგვეძლო მოგვეყვანა ათი ერთი აზრი გამოჩენილ მოღვაწეებისა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა დიდ სოციალურ სიკეთედ უნდა ჩაითვალოსო. გარდა „ხუთთხსენებულ“ შტატებისა, სადაც ქალებმა თანასწორობა მოიპოვეს მამაკაცებთან, სხვა დანარჩენ შტატებში მათ მონაწილეობის უფლება აქვთ კომუნალურ არჩევნებში. ამნაირად, თუ საერთო, რესპუბლიკის საკანონმდებლო კრებულში არა, ზოგიერთ შტატებში მაინც ქალმა მოიპოვა სრული პოლიტიკური თანასწორობა, ქალი აქტიური პოლიტიკური ძალა გახდა. ესეც დიდი პროგრესია გათანასწორების გზაზე. მით უმეტეს, რომ ჩრდილო ამერიკის რესპუბლიკაში ყოველი რესპუბლიკის შემადგენელი შტატი წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულს, დამოუკიდებელს თავის შინაურ საქმეებში. ყოველ შემთხვევაში ქალთა გათანასწორება ამერიკაში მხოლოდ ახლო მომავლის საქმეა. აქამდის იქ უმთავრესად მოქმედებდა ორი პოლიტიკური პარტია—დემოკრატიული და რესპუბლიკანური. ორივე ეს პარტია ბურჟუაზიულია. ცხადია, არც ერთი მათგანი განსაკუთრებულის ყურადღებით არ ეპყრობა ქალთა კითხვის საქმეს. სამაგიეროდ, ამ ბოლო დროს, საოცარის სისწრაფით იზრდება მესამე—სოციალისტური პარტია. ტრიოსტების ქვეყანა მეტად ხელშემწყობია ამ მომავლის პარტიისთვის, რომელსაც ქალთა უფლებრივ გათანასწორება ერთ-ერთ თავის მისწრაფებადა აქვს დასახული. ეჭვი არაა, ამ პარტიის გაძლიერება და პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის მოპოვება შესამჩნევად დაახლოვებს ქალების სრულ უფლებრივ გათანასწორებას.

პ. სურგულაძე.

◆ ღამით, 16/17 სექტემბერს, ვიღაც ბოროტმოქმედს გაუტეხია ქალაქის წიგნთსაცავ-სამკითხველოს ფანჯარადან გადამძვრალა შიგნით, რომ გაექურდა წიგნთსაცავის კასსა. ბოროტმოქმედს რადგან იარაღით გაუტეხია სტოლი, გამოუღია უჯრები, ყველაფერი აურევ-დაურევია, მაგრამ ფული ვერსად უნახავს და შერცხვენილი უკანვე გაპარულა. ქურდს წიგნებისათვის ხელი არ უხლია; სჩანს, ეს ვაჟბატონი მარტო ფულის მუშტარი ყოფილა. ამ ორი წლის წინადაც გატეხეს ქალაქის სამკითხველო და წაიღეს ცამეტი თუმანი ფული. უთუოდ გონებიათ, ახლაც იქნება სამკითხველოში ფულიო და მისთვის სტუმრებიათ; ის კი არ სცოდნიათ, რომ პირველ გაქურდვის შემდეგ სამკითხველოში ღამ-ღამობით ერთ გროშსაც არა სტოვებენ და მაშინვე ქალაქის კასსაში შეაქვთ.

◆ 16 სექტემბერს, დილის 10 საათზე, როდესაც აზოვ-დონის ბანკის განყოფილებიდან კასირს რკინის ყუთით ფული მიჰქონდა ხაზინაში და ის ის იყო ეტლში ჩაჯდა, უცბად თავს დაესხა ოთხი ბერდანკებით შეიარაღებული კაცი, კასირი ეტლიდან გადმოაგდეს, თვითონ ჩაჯდნენ შიგ და ბალახვანის ქუჩისაკენ გააქანეს. ეტლის ბორბლების ჭყეტის დროს რეზინის შიხები ასცილდებოდა, რომელმაც თურმე ფეხებში დაუწყო ცეცხლის ცემა. ამან თურმე მთლად გადარია გაჭენებული ცხენები და კიდევ უფრო გაქანდნენ. გაქანებული ეტლი გზაში ურემს დაეტაკებოდა და გატეხილიყო. ქურდებმა რომ შეატყეს საქმე ცუდათ იყო, იკადრეს ეტლიდან გადახტომა, რომ ყუთი გაეტანათ; თუმცა ბევრს ეწვალნენ, მაგრამ ყუთი ვერას გზით ვერ გატეხეს; მთლად წაღება კი ვერ მოახერხეს, რადგან ყუთი ძლიერ მძიმე აღმოჩნდა. ამიტომ იძულებული გახდნენ ყუთი მიეტოვებინათ და გაქცევით თავისთვის ეშველნათ. ყუთში 25 მანათამდის ყოფილიყო.

◆ ხუთს სხვილ ვაჭარს ნოქრებმა 17 სექტემბერს შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს:

ა) ჯამაგირების მომატება: ვისაც ამჟამად ჯამაგირი თვეში 5 მანათი აქვს, მოუმატოს 100$^0/_0$; ვისაც 5—10 მანათამდის აქვს, მოუმატოს 50 პროც., ვისაც 10—20 მანათამდის—40 პროც., 20—30 მან.—30 პროც., 30—50 მან.,—20 პროც. და ვისაც 50 მანათზე მეტი აქვს, იმას მოუმატოს ჯამაგირის 10 პროც;

ბ) ყოველ-წლობით ჯამაგირების მომატება;

გ) მოისპოს უფროსებთან (,,ხაზეინებთან'') ნოქრების და შეგირდების ბინა, ნაცვლად ამისა ფულად მიეცეთ ბინისათვის ნოქრებს თვეში თითოს სამ-სამი მანათი და შეგირდებს ორ-ორი მანათი;

დ) დილა-სადამოს უნდა ეძლეოთ უფროსისაგან ჩაი;

ე) წელიწადში უნდა მიეცეთ დასასვენებლად თითოთვის თავისუფლება ჯამაგირის შენახვით;

ვ) ავათმყოფობის დროს სამს თვეს უნდა შეენახოთ ადგილი ჯამაგირით;

ზ) თუ ნოქრების ავათმყოფობა გამოწვეული მაღაზიაში სამსახურით, მათი წამლობა ევალებათ უფროსებს თავის ხარჯით;

ჱ) ნოქრების მიღება და დათხოვნა დამოკიდებული უნდა იყოს თითოეულს მაღაზიაში მყოფ ყველა ნოქრებზე;

თ) იმ შემთხვევაში, როდესაც ვაჭარი აუქმებს ვაჭრობის რომელსამე დარგს, მოვალეა არ დაითხოვოს ნოქარი მანამდის, სანამ გაუქმებული დარგის საქონელი მთლად არ გაიყიდება;

ი) ყოველი უთანხმოება ვაჭრებსა და ნოქრებს შორის უნდა გადაეცეს განსახილველად ორივე მხრიდან არჩეულ სამედიატორო სასამართლოს;

ია) ნოქრებს ზრდილობიანად უნდა ეპყრობოდნენ;

იბ) მოისპოს ვაჭრებისაგან ნოქრებისა და შეგირდების საოჯახო საქმეებზე დასაქმება;

იგ) მოისპოს ერთ ფუთზე მეტი ტვირთების ზიდვა ნოქრებისაგან;

იდ) შეგირდს აყვანისათანავე დაენიშნოს ჯამაგირი;

იე) მაღაზიების დაკეტვა და გაღება გადაწყვეტილ დროზე ბეჯითად უნდა სრულდებოდეს;

ივ) სასადილოდ უნდა ეძლეოდეთ არა ნაკლებ ერთი საათის თავისუფლებისა;

იზ) ჯამაგირი უნდა რიგდებოდეს თვეში ორჯერ, 1 და 15 რიცხვებში;

იჱ) ყოველი ახალი წლის დამდეგში ნოქრებს უნდა ჩაბარდეთ წლიური ანგარიში;

ით) არ უნდა გამოერიცხოთ გაფიცულ დღეებში ჯამაგირი;

კ) თითოეულ მაღაზიაში ნოქრებისაგან უნდა ამოირჩეს თითო მეთვალყურე, რომელმაც თვალ ყური უნდა ადევნოს, თუ როგორ სრულდება ნოქრებსა და უფროსებს შორის დადებული პირობები;

კა) ამ მოთხოვნილებათა წარდგენისათვის არავინ არ უნდა დაისაჯოს;

კბ) უკანასკნელ მუხლში ნოქრები თხოულობენ, რომ პასუხი ხუთის დღის განმავლობაში მიეცეთ.

ისარა.

მოძრაობა კავკასიასა და საქართველოში.

(პროფესორის ნ. მარრის წერილიდან).

ამ ჟამად, დროგამოშვებით, გურიაში იმართება მიტინგები, რომელსაც რამდენიმე სოფელი და საზოგადოება ესწრობა. 21 აგვისტოს საყვავის ტყესთან დიდებული მიტინგი მოხდა. ყველამ იცოდა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მიტინგი უნდა მომხდარიყო, მაგრამ სად—ეს მხოლოდ წინა დღეს გაიგეს. დილით ყოველ მხრიდან ხალხი წამოვიდა. ყველა სარევოლუციო გუნებაზე იყო. თუმცა „მშვიდობიანობის“ დამცველი არავინ იყო, მაგრა წეს-რიგი სამაგალითო იყო. ყოველ საზოგადოებას თავის წითელი დროშა ჰქონდა. კრებაზე მონაწილეობას იღებდა ყველა წოდება—თავად-აზნაურობაც და სამღვდელოებაც. ის აზნაურნი, რომელნიც გუშინ სულ სხვა აზრისანი იყვნენ, დღეს წითელ ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი.

ყველაზე წინ სურებლები მივიდნენ. ზოგი 45 ვერსის მანძილიდანაც იყო მოსული. სახლში მხოლოდ მოხუცნი და უხელფეხონი დარჩნენ, დანარჩენები კი დედაბუდიანად, მარსელიეზისა და ეროვნულ სიმღერებით, კრებისთვის დანიშნულ ადგილისკენ მოეშურებოდნენ. ხან ქალები მღეროდნენ და ხან კაცები. შუადღისას ხალხი წითელ ბაირაღის გარშემო მოგროვდა. მინდორს გარშემო ტყე ერტყა. ხალხი ეცა ხეებს, საჩქაროდ ჩამოაკაფა ფოთოლი და ზედ მოიკალათა. ქვევით ქალების ქოლგების ზღვა მოსჩანდა. თუმცა საშინელი სიცხე იყო, მაგრამ ხალხმა ქოლგების დაკეცვა მოითხოვა. ყველა შესაფერ ადგილს ეძებდა და იქიდან აპირობდა ყურის გდებას. ხალხის შუაგულში წითელ ბაირაღთან იდგა ერთი მაგიდა, რომელზედაც ხანში შესული და ლურჯ ხალათში გამოწყობილი მუშა ასულიყო და ლაპარაკს აპირობდა. დაიწყო თუ არა ორატორმა ლაპარაკი, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ხმის ამოღებას და ხმაურობას ვერავის ბედავდა. ორატორმა ვრცელი სიტყვა უძღვნა რუსეთის სარევოლუციო მოძრაობის ისტორიას და რუსეთ-იაპონიის ომსაც შეეხო. ორატორი წყნარად, დამშვიდებით და ხმამაღლა ლაპარაკობდა, დრო გამოშვებით, როცა მოლაპარაკე ძლიერსა და მოხერხებულ შედარებას მოიყვანდა, ან კარგად დაახასიათებდა ხოლმე ამა თუ იმ მოვლენას, ხალხი დაიძახებდა ხოლმე: „ძირს ძველი წესწყობილებაო!“ მეორე ორატორმა ჯერ პირველ ორატორის სიტყვა გაიმეორა, მერე კი აღფრთოვანებულად მიჰმართა ხალხს და სთქვა: „დედებო და დებო! აბა ერთი წარმოიდგინეთ, რა საშინელება და უბედურებაა, როცა ათი და ასი ათასი დედა გაიგებს, რომ მათის ძუძუთი აღზრდილი ვაჟკაცები შორეულ მანჯურიის მინდვრებში ყრიან დახოცილები და დასახიჩრებულნი“. ამ დროს ხალხში მედგარი მუქარა და გულიწყრომა გაისმა მათდამი, ვინც ეს უბედურება გამოიწვია. შემდეგ ორატორი შეეხო სახელმწიფო სათათბიროს და კავკასიის ნამესტნიკის პოლიტიკას. ორატორმა სავსებით უარჰყო და გაჰკიცხა სათათბირო, რადგან იგი ახალი იარაღია ჩვენთან საბრძოლველადო. შემდეგ ორატორი ფედერალისტებსა და ავტონომისტებსაც შეეხო და ამ მხრივ უკიდურესი პარტიული ცალმხრივობა გამოიჩინა. ორატორი იმდენად იყო გატაცებული თავის პარტიულ შეხედულებით, რომ თავის თავს არაფრით არჩევდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიისაგან და ისიც კი განაცხადა, რომ ჩემს პოლიტიკურ რწმენას და მიმართულებას საფუძვლად სრული ეროვნული თავისებურობის უარყოფა უძევსო. მიტინგის მოთავეებმა ლაპარაკის ნება არ მისცეს ერთ სოციალ-დემოკრატს, რომელიც ამ საკითხში ცოტათი განსხვავდებოდა მათგან. ცხადზე უცხადესია, რომ სოციალ-დემოკრატებმაც შემოიღეს თავისუფალ გურიაში ცენზურა. ასე, მაგალითად, ცნობილ ორატორს „ღვთის წყალობას“ უსაყვედურებდნენ, რომ ის კერძო სახლებში ხალხს აგროვებს და კამათს მართავსო, ამან კი შეიძლება მავნე აზრებიც გაავრცელოსო და სხვ.

ორატორი რევოლუციასაც შეეხო და ახსნა, თუ რას უნდა მოელოდეს მისგან ხალხი და როგორ უნდა მოხდეს იგი. ,,რევოლუცია დაიწყო,—სთქვა ორატორმა.—მართალია, ჩვენ, გურულები მშვიდობიანობით ვსტკბებით, ჩვენ თავისუფლები ვართ და, როგორც ხედავთ, თავისუფლადაც ვლაპარაკობთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სხვაგან, ჩვენს გვერდით აუარებელი სისხლი იღვრება და შემდეგშიაც დაიღვრება; ჩვენ არ შეგვიძლიან აქის გულგრილად დავრჩეთ და ჩვენ მოძმეთა ტანჯვას შორიდან სეირს კუცქეროთ. როცა დრო მოვა, ჩვენც ჩავერევით საერთო ფერხულში და აი ასე დავუშენთ თოფს ყველას, ვინც გზაზე გადაგვეღობება“. ამ დროს ორატორმა მართლა გაისროლა რევოლვერი. რევოლვერის სროლას ათასობით გასცეს პასუხი თოფების სროლით. თოფებს „მოწინავე რაზმი“ ისროდა. სანამ მეორე ორატორი გაათავებდა ლაპარაკს, ხალხმა ერთი-ორად იმატა: ყოველ წუთს სულ ახალ-ახალი ჯგუფები მოდიოდნენ. ყველანი ხანჯლებით, თოფებით, ხმლებითა და ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულნი. მალე ორი მებრძოლი რაზმიც მოვიდა. თითო რაზმში ასასი კაცი იყო. ყველანი ბერდანის თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი. წინ წითელი დროშა მიჰქონდათ, უკან კი მარსელიეზის მღერით მებრძოლნი მოსდევდნენ. პატარა არეულობა მოახდინა რამდენიმე ცხენოსანმა, რომელნიც ცხენდაცხენ შემოიჭრნენ ხალხში. თოფის სროლაზე ცხენები დაფთხნენ. ხალხმა თოფის სროლა შესწყვიტა და ყველაფერი მშვიდობიანად გათავდა.

ცოტა ხნის შემდეგ, 5000 კაცი დაიძრა და ჩოხატაურისაკენ წავიდა. აქა-იქ ისევ წითელი ბაირაღები მოსჩანდა და მარსელიეზას მედგარი გუგუნი ისმოდა. გზადაგზა დემონსტრანტებს სხვა სოფლებიდანაც შეუერთდნენ და ერთი ვერსის სიგრძეზე შარა გზა გაავსეს. აქ იყო, სულ ცოტა, 7000 კაცი. ჩოხატაურში ვაჭრებიც მიემხრნენ. დემონსტრანტებმა ბოქაულს წინდაწინვე შეუთვალეს, გარედ არ გამოხვიდე, თორემ უბედურება მოხდებაო. ბოქაულს მხოლოდ იმისი ეშინოდა, წითელი დროშა არ დამეჭირონ და წინ არ წამიმძღვარონო. ხალხი ხიდამდის მივიდა თოფის სროლა ასტეხა და მერე დაიშალა. დემონსტრაცია მართლა დიდებული გამოსულიყო, მაგრამ მაყურებელი კი არავინ ჰყოლია. ამ დემონსტრაციამ ხალხს რწმენა განუმტკიცა და ისიც ყოველ წუთს მზად არის შეიარაღებული დემონსტრაცია მოახდინოს და ჩოხატაურზე უფრო შორს გაისეირნოს.

ადგილობრივი მოღვაწენი არ მალავენ და აღიარებენ, რომ მთავრობას ჯარის დახმარებით მალე შეუძლიან გურიის აღგვა დედამიწის პირიდან; მაგრამ ისინი მაინც არ დრკებიან და გამარჯვების სრული იმედი აქვთ. ერთი გურული მეუბნებოდა: „თუ მართლა ჩვენ დავმარცხდით და გავნადგურდით—ამაში სასინანულო არაფერი იქნება, რადგან ჩვენი განადგურება მხოლოდ იმას დაამტკიცებს, რომ ჩვენი სისხლი და სიცოცხლე ტყუილად არ შეგვიწირავს იმ საქმისთვის, რომელიც დღეს თუ ხვალ გაიმარჯვებსო“.

დღეს თუ ხვალ გურიის ბედი უნდა გადაწყდეს, მაგრამ როგორ—ეს არავინ იცის: ან მთელ რუსეთში და, რასაკვირველია, პაწაწინა გურიაშიაც ფართო დემოკრატიულ რეფორმებს მოახდენენ და მშვიდობიანობას არ დაარღვევენ, ან ამ „მშვიდობიანობას“ გურიაში ცეცხლითა და მახვილით აღადგენენ. კომპრომისებისა და ნახევარ ზომებს დრო წავიდა. მე სინდისიერად უნდა აღვიარო, რომ მესამე გზა არ არის: ან რეფორმა ან სისხლი.

ასეთივე ამბები ხდება მთელ საქართველოს უმეტეს ნაწილში („რაზს.“)

რუსეთი

როგორც ვიცით, წარსულ გაზაფხულს ბერლინის ცნობილმა ბანკირმა მენდელსონმა რუსეთს 150 მილიონი მანათი ასესხა მოკლე ვადით. ახლა მენდელსონსა და ვიტტეს მოულაპარაკნიათ და გადაუწყვეტიათ, ეს **სესხი გძელ ვადიანად გადააკეთონ.** რუსეთი 5$^0/_0$-ს სარგებელს გადიხდის (რ. ვ.).

◆ 13 სექტემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში **სტუდენტების შეერთებული კრება მოხდა.** კრებას 2,000-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო. წაიკითხეს სტუდენტთა კავშირის პროექტი, რომელიც სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა შეიმუშავა. უმეტესობამ პროექტი უარჰყო, რადგან მას პოლიტიური ელფერი ჰქონდა. შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა საბჭოს მიერ შედგენილი სია გასარჩევ საგნებისა. დაიწყო კამათი საქმის თანამედროვე მდგომარეობისა და საუნივერსიტეტო გაფიცვის შესახებ. რამდენიმე ორატორმა მჭერმეტყველად და მკაფიოდ დაასურათა რუსეთის თანამედროვე გაჭირებული მდგომარეობა, საზოგადოებრივ ძალთა ბრძოლა და სტუდენტების პოზიცია და მნიშვნელობა ამ ბრძოლაში. მერე წამოდგა ერთი სტუდენტი „პატრიოტი“ და „ნამდვილ რუს-პატრიოტთა“ სახელით ილაპარაკა. კრებამ სტვენითა და ყვირილით უპასუხა „პატრიოტის„ შემდეგ წამოდგა პოლონელ სტუდენტების წარმომადგენელი და ძლიერის სიტყვებით დაასურათა პოლონელთა ტანჯვა-წვალება და მოუწოდა პროგრესიულ სტუდენტობას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ხელიხელს ჩავკიდოთ და გაბედულად გავწიოთ ჩვენის მიზნისკენაო. ორატორს მთელი კრება ხანგრძლივ ტაშის კვრით მიეგება. გაფიცვის შესახებ სტუდენტობა ორ ბანაკად გაიყო: ერთნი ამტკიცებდნენ, იანვრის აქეთ რუსეთში არავითარი ცვლილება არ მომხდარა და ამიტომ გაფიცვაზე ხელი არ უნდა ავიღოთო, მეორენი კი უპასუხებდნენ, პირიქით, უკანასკნელ ორ წელიწადს რუსეთი ძალიან შეიცვალაო; უნივერსიტეტების დაკეტვა პოლიტიკურ თავის მოკვლას უდრისო და სხ. კენჭის ყრამ აღმოაჩინა, რომ სწავლის გაგრძელების მომხრე იყო 1700 სტუდენტი, გაფიცვისა 243. კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღია 73-ს (რ. ვ.).

◆ სატყეო ინსტიტუტის სტუდენტთა **კრებამ გაჰკიცხა 1 კურსის სტუდენტები,** რომელთაც სტუდენტების საერთო დადგენილება დაარღვიეს და მათ დაუკითხავად სწავლა დაიწყეს (რ. ვ.).

◆ 13 სექტემბერს მოხდა შეერთებული კრება პეტერბურგის საქალებო უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეებისა. კრებას 1000-ზე მეტი კურსისტკა დაესწრო. კრებამ დაადგინა, თუ 1 ოქტომბრამდის საქალებო სასწავლებლებსაც ავტონომიას არ მისცემენ, **საერთო გაფიცვა მოვახდინოთო** (რ. ვ.).

◆ 13 სექტემბერს, ნევის ქარხნის მუშათა ერთი ნაწილი, 600 კაცი გაიფიცა, მუშებმა დეპუტატები გაუგზავნეს ქარხნის დირექტორს, და სთხოვეს იმ ჯარიმის გაუქმება, რომელიც დირექტორმა 30 აგვისტოს გადუწყვიტა მუშებს. დირექტორმა **ცივი უარი უთხრა.** გაფიცულები შეიკრიბნენ და მოილაპარაკეს, დავუთმოთ თუ გაფიცვა გავაგრძელოთო. 400 მუშა მაშინვე შეუდგა მუშაობას, ხოლო 500—მეორე დღეს (რ. ვ.).

◆ პატრიოტულ გაზეთ ,,დენ''-ის რედაქტორმა, ბურგმა, როგორც ვიცით, მთავრობისგან 30,000 მან. მიიღო საჩუქრად ,,პატრიოტულ'' აზრების გასავრცელებლად. ბერგს ვინმე ჩალიკოვისა 8000 მან. ჰმართებია, მაგრამ, რადგან თავის თავი გაკოტრებულად აღიარა, ამიტომ ჩალიკოვმა ეს ფული ვერ მიიღო. ეხლა, რა-კი ბერგმა ამოდენა ფული აიღო, ჩალიკოვიც ეწვია, მაგრამ... **„პატრიოტი“ ბერგი სადღაც გადაიკარგა,** ეძებენ და დღესაც ვერ უპოვნიათ (რ. ვ.).

◆ 10 სექტემბერს, პეტერბურგში **პოლიციამ დააპატიმრა ცნობილი მოღვაწე დუშეჩკინი** (რ. ვ.).

◆ 1 სექტემბერს სერპუხოვში პოლიციამ დააპატიმრა 3 სოციალისტ-რევოლუციონერი და 3 სოციალ-დემოკრატი (რ. ვ.).

◆ სრულიად რუსეთის საერობო და საქალაქო მოღვაწეთა კრებამ, რომელიც მოსკოვში შესდგა, საორგანიზაციო ბიუროს წევრებად, სხვათა შორის, აირჩია ცნობილი მეცნიერი სოციოლოგი მაქ. კოვალევსკი და ცნობილი ისტორიკოსი მილიუკოვი. ამავე კრებამ **ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტის წევრებად აირჩია ცნობილი მოღვაწეები** კ. არსენიევი, გრ. პ. გეიდენი, ვ. ნაბოკოვი, მ. ფედოროვი, მ. პეტრუნკევიჩი, ს. მილიუკოვი, გ. ოპელი, რუტტენი, პ. მილიუკოვი და მ. კოვალევსკი (რ. ვ.).

◆ 13 სექტემბერს ვარშავაში საერობო დარაჯებსა და ხალხს **შეტაკება მოუხდათ** (რ. ვ.).

◆ ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა გადასწყვიტეს თავიანთ მოთხოვნილებაში შეიტანონ **გაუქმება ეროვნულ გარჩევისა** (რ. ს.).

◆ მთავრობამ მარტო სარატოვიდან სამართალში მისცა 24 ექიმი, რომელნიც ექიმთა კავშირის წევრებად იყვნენ (რ. ვ.).

◆ შინაგან საქმეთა მინისტრმა **შეაჩერა გაზეთ ,,ასხაბად''-ის გამოცემა** (რ. ს.).

◆ სახელმწიფო **სათათბიროს კრებებს დაესწრება მხოლოდ პეტერბურგის 15 გაზეთის წარმომადგენელი.** დანარჩენმა გაზეთებმა კრებების ანგარიში ამ გაზეთებიდან უნდა გადმობეჭდონ. მიზეზი დანარჩენ ჟურნალ-გაზეთების დაჩაგვრისა ის არის, რომ, ჯერ ერთი, დარბაზში ადგილი ცოტაა და, მეორე — წარმომადგენლების ანგარიშების წაკითხვას სათათბიროს თავმჯდომარე ვერ მოასწრობსო. როგორც ვიცით, დებულების ძალით, სათათბიროს სხდომის ანგარიში სათათბიროს თავმჯდომარის ნებართვით უნდა დაიბეჭდოს (რ. ვ.).

◆ სახელმწიფო საბჭოს წევრი, ცნობილი რეაქციონერი შტიურმერი სახელმწიფო **სათათბიროში დეპუტატად აპირობს შესვლას.** შტიურმერს უკვე დაუწყია საარჩევნო აგიტაცია და აგიტატორებიც დაუქირავებია (ს. ო.).

◆ პეტერბურგის საცენზურო კომიტეტმა **გასაყიდად აკრძალა შემდეგი თავის-მიერვე ნებადართული წიგნები:** თხზულებანი ფერდინანდ ლასალისა, „ეკონომიური ნაწყვეტები“ ბახისა, „კომუნის მხედრებნი“ არნუსი, „სამრეწველო ცხოვრება ინგლისში მე-XVIII და მე-XIX საუკუნოებში“ დ. სიდნისა, „მომავლის საზოგადოება“ ბებელისა და „დამფუძნებელი კრება“ დანისა (ს. ო.).

◆ ინჟენერები სოკოლსკი, ფლეკელი და სვიჩნინი **მთავრობამ სამართალში მისცა.** სამივენი ინჟენერთა კავშირის წევრები არიან (ს. ო.).

◆ ლოძში კიდევ მისულა დრაგუნთა **ორი პოლკი** (ს. ო.).

◆ მოსკოვის გუბერნატორი კრისტი **სამსახურს თავს ანებებს** (ს. ო.).

◆ ხერსონის საპყრობილიდან **გაიქცა 7 პატიმარი:** 3 კატორგაში იყო გასაგზავნი, 1 — საიდუმლო და 3 — პოლიტიკური (ს. ო,).

სამეცნიერო წერილები.

წითელას ახლად აღმოჩენილი ბაცილა.

მეცნიერს ბორინის წითელით ავათმყოფ ბავშვების სისხლში აღმოუჩენია ბაცილა, რომელიც წარმოადგენს პაწაწა ჩხირის მსგავს არსებას. გარდა სისხლისა ეს ბაცილა შესაძლოა აღმოაჩინოთ წითელით ავათმყოფის სასულედგან ამონადენ ნახველში. ბორინმა ეს ბაცილა ხელოვნურად გაამრავლა და მოაშენა შესაფერ მასაზრდოებელ ნივთიერებაზე და შემდეგ ეგრედ მოშენებული ბაცილებით აუცრა ზოგიერთ პირუტყვებს, რომლებსაც გამოაჩნდათ წითელას ზოგიერთი ნიშნები და რამდენისამე დღის განმავლობაში დაიხოცნენ.

ბორინის აზრით, ეს ბაცილა წითელას გამომწვეველია—იმისი შხამით იწამლება ადამიანის სხეული და ხდება ავად წითელით.

სიფილისის (ათაშანგი) მიკრობი

თუ რა საშინელი სენია სიფილისი, მკითხველმა უკვე იცის. გაგონილი ექნება მას აგრეთვე ისიც, თუ რა საშინლად მოდებულია ეს სენი მთელ დედამიწაზე. ბევრი თავი იმტვრიეს მეცნიერ-ექიმებმა, რომ როგორმე გამოეკვლიათ მიზეზი ამ საზარელი სენისა, მაგრამ—ამაოდ. ჯერ ისიც კი ვერ არის დანამდვილებით გამოკვლეული, შესაძლოა თუ არა, რომ სიფილისით ავათმყოფი სრულებით განიკურნოს ამ სენისაგან. გამოჩენილმა პროფესორმა ტარნოვსკიმ 40,000 სიფილისით ავათმყოფში მხოლოდ ექვსი ისეთი შემთხვევა აღნიშნა, რომელიც შესაძლოა მოწმობდეს სიფილისის საწამლავიდან სრულებით მორჩენას.

ეს სენი შთამომავლობაზედაც გადადის: ზოგს ახალ-დაბადებულს სიფილისის ნიშნები უკვე თან დაჰყვება, ზოგს კი შემდეგ გამოაჩნდება. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სიფილისი ერთი უმთავრეს მიზეზთაგანია შთამომავლობის გადგვარებისა და განადგურებისა.

პირველად მეცნიერმა მეჩნიკოვმა ადამიანის სიფილისის შხამით აუცრა მაიმუნს და, ცოტა ხნის შემდეგ, აცრილს მაიმუნსაც გამოაჩნდა სიფილისის ნიშნები. ამგვარად პირველად მეჩნიკოვის წყალობით გამოირკვა, რომ სიფილისით შესაძლოა გახდეს ავად არა მარტო ადამიანი მთელ სულიერ არსებათა შორის, არამედ მაიმუნიც. ეს იყო პირველი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა.

ახლა კი გერმანელმა მეცნიერებმა შაუდინმა და ჰოფმანმა აღმოაჩინეს სიფილისის მიკრობი „სპიროხეტ პალლიდა“. ეს მიკრობი წარმოადგენს ფრიად ნაზს, მოძრავს, ბურღივით მრავალჯერ დაკლაკნილ არსებას, რომელსაც ბოლოები გაწვრილებული აქვს. ამასთან ძლიერ ფერმკრთალია, ასე რომ მიკროსკოპით ძნელი გასაშინჯია. ეს მიკრობი შეგვიძლიან აღმოვაჩინოთ სიფილისით ავადმყოფის დასივებულ ჯირკვლების და მუწუკების უჯრედებში.

მეცნიერებმა მეჩნიკოვმა და რუმ გამოიკვლიეს და დარწმუნდნენ, რომ „სპიროხეტ პალლიდა“ მართლა სიფილისის მიკრობია. ასეთივე მიკრობი აღმოაჩინეს ამ მეცნიერებმა სიფილისით ავათმყოფ მაიმუნების სიმსივნეში და აგრეთვე მემკვიდრეობით სიფილისით ავადმყოფ ახალ-დაბადებულთა სხეულებშიაც. ასე რომ სრულის სინამდვილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ აღმოჩენილი „სპიროხეტ პალლიდა“ სიფილისის მიკრობია.

მხოლოდ ეს არის, რომ აქამდინ ვერავინ ვერ შესძლო ამ მიკრობის ხელოვნურად მოშენება და გამრავლება. ამ აღმოჩენას ფრიად დიდი შედეგი მოჰყვება კაცობრიობის სანუგეშოდ.

ექიმი ბადრიძე.

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

10 სექტემბერს სამხედრო საკრებულოს დარბაზში დაიწყო თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა მაზრის მარშალი თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი.

კრების საგანი იყო: როგორ მოეხმარათ, ან რა დანიშნულება მიეცათ სამეურნეო თანხიდან წილად ხვდომილს 9600 მანეთისთვის.

წინა კრებისაგან არჩეულ კომისიას შეუდგენია პროექტი სამელიორაციო სესხის გასაცემ დაწესებულებისა. თ. ს. რ. ვახვახიშვილმა პროექტის განხორციელება შეუძლებლად სცნო თავნის სიცოტავის გამო და ამასთან გამოსთქვა აზრი, რომ სახელმწიფო და სხვა ბანკები დახმარებას არ გაგვიწევენ, ამიტომ ამ ფულით ჩვენ არავითარი საკრედიტო დაწესებულების დაარსება არ შეგვიძლიან. დაწესებულების შენახვა სულ ცოტა 3,000 მან. დაჯდება და მაგ ფულის სარგებელი კი, სულ ბევრი რო ვსთქვათ, 1,000 მან. არ აღემატება. ყოველ წელიწადს 2 ათასი მამათი თავნიდამ უნდა დავახარჯოთ შენახვასაო.

სხვებმა მოიყვანეს მაგალითად საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსების დროინდელი თავნი ფულის სიმცირე, აგრეთვე კახელ მევენახეთა საზოგადოების დაარსების დროს უთანხმოება და რომ, ამის მიუხედავად, ეს ორივენი ახლა დიდ საქმეს ატრიალებენ და სხვ.

კამათი შეეხო სახელმწიფო ბანკის სარგებლის სიმცირეს და ამით ისარგებლა თავმჯდომარემ, მოახსენა კრებას „კახეთის“ საზოგადოების გამგეობის წინადადება, რომ თავად-აზნაურობამ სამეურნეო თანხიდამ ნარგები ფული საზოგადოებას მისცეს სესხად.

„კახეთის“ საზოგადოების არა წევრთ განაცხადეს უარი დაუსაბუთებლად.

თავმჯდომარემ დაასვა საკითხი: მიეცეს თუ არა „კახეთის“ საზოგადოებას სესხად 9600 მან.? ამ საკითხს კენჭი უყარეს.

დახურულმა კენჭის ყრამ აღმოაჩინა 17 მომხრე სესხად მიცემისა და 6 წინააღმდეგი ამისა.

რა პირობით უნდა მიეცეს სესხად, ამაზედ ტფილისში შეეკითხებიან მცოდნეთ.

შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ ის მიდის ტფილისში და ხომ არავის არა აქვს-რა საზოგადო საქმის შესახებ დაავალოს მას. თ. ჯანდიერმა სთხოვა გაეგო წინამძღოლს, როდის მოვა კომისია, რომელიც შეაფასებს მემამულეთა ზარალს, ხალხის მოძრაობის გამო მომხდარს.

თავმჯდომარემ აუხსნა, რომ უკვე განკარგულებაა კომისიის შესახებ. დავბრუნდები და დაგიგზავნით სოფლებშიაო. თ. ილია ვახვახიშვილმა უპასუხა, ძალიან კარგს იზამთ, რომ სოფლები არ ჩამოიაროთ. აგერ გორის მაზრაში გენერალ-გუბერნატორი დანიშნეს, კომისია დადის და სამაგიეროდ თავად-აზნაურობას ჰხოცავენო, აქაც ისევე გამეორდება, თუ თავად-აზნაურნი არ მოურიგდებიან გლეხებს და საქმეს ამაზე მეტად გაამწვავებენო. მე ყველა აქ მკრებილთ და იმათაც, ვინც აქ არ არიან, ვურჩევ, მორიგებით გამოაწყონ საქმე და თავი დაასხნან საჩივრებს და კომისიებსაო.

თავმჯდომარემ აუხსნა, რომ მე არც კომისიის დანიშვნა შემიძლიან და არც დანიშნულის დაშლა. არის განკარგულება, მე აღსრულებაში უნდა მოვიყვანო. შემოტანილია საჩივრები, ნეტა ასე იყოს, რომ ყველამ, ვინც-კი საჩივარი შემოიტანა, უკანვე გაიტანოს. საჩივარზე უარის თქმა მოჩივარის უფლებაა, თუმცა ესეც ყოველთვის ასე არ არის. მაგ., თ. იორამ ჯორჯაძის ტყე სახელმწიფო ბანკშია დაგირავებული, ახლა, როგორც გავიგე, გლეხები თურმე ჰკაფავენ იმ ტყეს. რა ქნას ჯორჯაძემ? ბანკთან იმ პირობით არის შეკრული, თუ დაზარალდა ტყე, ზარალი ერთი-ორად უნდა გადიხადოს. იორამი თუ თავის ჯიბიდამ შეიტანს ბანკში ერთი-ორად იმას, რა ზარალიც მიუყენებიათ ტყისათვის, ძალიან კარგი იქმნება, მოდავე აღარ იქნება, მაგრამ აბა, საიდამ, რომელი თანხიდამ შეიტანს იორამი? მე ძალიან მეძნელება, ძალიან მეზარება მაგ კომისიის მოქმედებაში მონაწილეობა და დიდად მოხარული ვიქნები, თუ ყველანი მშვიდობიანად გლეხებთან მორიგდებიანო.

ნადიკვრელი.

თეატრი და ხელოვნება

ოპერა. ორშაბათს, 19 ამ თვისს, ბ-ნ დონსკოის დასმა წარმოადგინა რუბინშტეინის „დემონი.“ დემონის როლს ასრულებდა ბ-ნი სოკოლსკი, რომელიც საზოგადოებას ძალიან მოეწონა. ცნობილი ჰანგი „ნუ სტირი, ტურფავ“ გაამეორებინეს. სოკოლსკის შესახებ იგივე ითქმის, რაც წინა რეცენზიაში იყო ნათქვამი. რამდენადაც ხმა-შეკიდებული სიმღერა ეხერხება, იმდენად დაბალი ხმა უტყუის. გარეგნობით ბ-ნი სოკოლსკი კარგი დემონია, მხოლოდ მახვრა-მოხვრაში გადაჭარბება ეტყობა. ფრაზირობკა კარგი აქვს და აზროვანი. ბ-ნი ჩისტიაკოვი მშვენიერი გუდალია. ხმა აქვს კილოიანი და მჭახე. ბ-ნი კოლოტოვი ნამდვილი ლირიკული ტენორია, მოხდენილად იმღერა სინოდალის პარტია. ქ-ნმა პროკუდინამ თამარის როლში ვერ იქონია საკმაო შთაბეჭდილება. ხმა მისა, ცოტა არ იყოს, მოისუსტებს და ჰანგთა გადმოცემაში ერთფეროვნება ეტყობა. ბ-ნ ფალიაშვილს ორკესტრი ხელოვნად მიჰყავდა.

ი.

კორესპონდენცია

ქუთაისი. სექტემბრის 5—11 შესდგა კრება ქუთაისში, რომელსაც მიზნად ჰქონდა რეფორმა მოეხდინა იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიების სასულიერო სკოლებში. კრებაზე მოწვეულ. იყვნენ ორივე ეპარქიის მეთვალყურენი, სამოსწავლო საბჭოთა თავმჯდომარენი, ამავე საბჭოების სამაზრო განყოფილებათა თავმჯდომარენი და ორივე ეპარქიის მაზრის მეთვალყურენი. თავმჯდომარეობდა თ. დ. ყორღანია. მეორე სხდომას დაესწრო ეპისკოპოსი ლეონიდი.

კრებამ განიხილა რამდენიმე პრინციპიალური საკითხები, რომლითაც არსებითად შესცვალა ძველი გეგმა სასკოლიო სკოლებისა და ახალი გეგმა შეიმუშავა პრინციპიალურად, რომლის დაწვრილებითი აღწერა და დაბეჭდვა მიანდო თავმჯდომარეს და კრების მდივანს, ბ. ი. სანებლიძეს. კრების ჟურნალი უკვე დაამტკიცა იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა. როცა ეს პროექტები აღწერილ იქნება, მაშინ ის უნდა გადაათარგმნონ ქართულად, დაიბეჭდოს რუსულად ათასი ცალი, ხოლო ქართულად 2000 ცალი, ხალხი და მასწავლებლები გაეცნონ და, თუ მათგანაც მოწონებულ იქმნა, დაუყოვნებლივ სწავლა ამ გეგმით უნდა დაიწყონ.

უმთავრესი ცვლილება გეგმას შემოაქვს შემდეგში: 1) პირველდაწყებითი სკოლა ხალხს დაუმორჩილდეს, ხალხის გამგეობას, არჩევითის წარმომადგენლების-მიერ; 2) სამღვთო სჯულის სწავლებას სრულიად სხვა მიმართულება მიეცა: სჯულს უნდა ასწავლიდენ, როგორც ქადაგებას; ბავშვებს არც გაკვეთილს აძლევენ, არც წიგნს ხელში, არც საზეპიროს, გარდა პირველდაწყებით ლოცვებისა, არც ნიშნებს უსვამენ, არც ჰკითხავენ გადაცემულს. მარტო ცოცხალი ბაასია სჯულის მასწავლებელისა და მოწაფეებს შორის; 3) დანარჩენს საგნებს პრაქტიკული მიმართულება მიეცა; 4) შემოტანილ იქმნა კურსში ახალი საგნებიც: მოკლე კანონები (უმეტესად სასოფლო), სამეურნეო საგნები, საქმის ქაღალდების შესწავლა (ფორმა), 5) რასაკვირველია, დედა-ენას ფართო ადგილი მიეცა; 6) რუსული ენა ცალკე საგნად იქმნა აღიარებული.

—ელია—

წერილი ლიახვის პირიდან

მიწის სიმცირე.—მიწის იჯარა.—ხვნა-თესვის ხარჯები.—მიწის მოსავალი.—ვენახობა.—მებაღეობა.—მებაღეობის მერმისი.

ამჟამად ქართლში დიდი უთანხმოება და არეულ-დარეულობაა მიწათ-მფლობელთა და მიწათ-მოქმედთა შორის. ეს მოვლენა გამოიწვია მიწის სიმცირემ და იმ ბაჟმა, რომელიც მიწათ-მოქმედთ მეტად მძიმე ტვირთად აწევთ მიწის ხმარებისთვის. მდგომარეობის რიგიანად გამოსარკვევად საჭიროა გავითვალისწინოთ წარმოების პირობები ამა თუ იმ რაიონში. ვიღებთ მაგალითისთვის ქართლის იმ მხარეს, რომელსაც „ლიახვის-პირებს“ უძახიან. მიწის ხმარებისთვის აქ არის დიდი ხნის ჩვეულობით დადებული მოსავლის ერთი მეოთხედი. ამ ბოლო წლებში გლეხთ ახდევინებენ ახალ ხარჯსაც: დღიურ მიწაზე, გარდა მეოთხედისა, ორ მუშას ან ერთ მანათ ფულს, „ქრთამად“ წოდებულს. მოხდება ხოლმე, რომ ერთსა და იმავე მიწის აღებაში რამდენიმე გლეხი ერთმანეთს შეეჯიბრებიან, რადგანაც აქ მამულის დიდი სივიწროვეა. მესაკუთრე აძლევს მიწას ერთ-ერთს კონკურენტთაგანს და ამ უპირატესობისთვის ართმევს, ეგრედ წოდებულ, ქრთამს. ასე წარმოდგა ამ უცნაურ ბაჟის განწესება. თუ ამ „ქრთამს“ არ მივიღებთ მხედველობაში, „ლიახვის პირებზე“ საერთო ჩვეულებრივ ბაჟად უნდა ჩაითვალოს მოსავლის მეოთხედი.

ვიანგარიშოთ, რა შემოსავალს აძლევს გლეხს მიწის მუშაობა. საშუალო მოსავალში, დღიური მიწა იძლევა რვა კოდს (კოდი ოთხი ფუთია) პურს, ანუ ათ კოდ სიმინდს, ან ქერს. ერთი მეოთხედი შეადგენს პირველ შემთხვევაში ორ კოდს და მეორეში—ორ კოდს და ორ ფუთს.. ეს არის ჩვეულებრივი მიწის ბაჟი, რომელიც ერთმევა მესაკუთრისაგან გლეხს მიწის ხმარებისათვის. მაშასადამე, დღიურზე მიწათ-მოქმედს რჩება ექვსი კოდი პური ანუ შვიდი კოდი და ორი ფუთი სიმინდი. აქ, კარგა ხანია, სამ მანეთად ფასობს პური და ორ მანეთად—სიმინდი ან ქერი. ფულად რომ ვაქციოთ, ეს ხორბალი დაიჭერს პირველ შემთხვევაში 18 და მეორეში—15 მანათს. ეს რჩება გლეხს დღიურ მიწიდან შემოსავალი თავის შრომაში. ახლა ისიც ვიკითხოთ, როგორა ღირს ადგილობრივის შეხედულებით დღიური მიწის დამუშავება? დღიურის მოხვნა ფასობს ხუთ მან., დათესვა და დაფარცხვა—1 მან. 20 კაპ., მომკა და ძნის დადგმა—4 მან., მორწყვა ორჯერ—1 მან. და მოტანა—60 კაპ. გალეწვას აღარ ვანგარიშობ, რადგანაც საბზელად ლეწავენ ძნას. ამ ხარჯ-აღრიცხვას ორი კოდი თესლი უნდა მივუმატოთ ან იმის ფასი 6 მან., სულ შედგება 17—80 კაპ. ასე ფასობს დღიურის საპურედ მოხვნა და მთლად დამუშავება დამმუშავებელთა ხარჯით, რასაკვირველია. ხოლო სასიმინდოდ მიწის მოხვნას და მთლად დამუშავებას კი უფრო მეტი ხარჯი უნდება: მოხვნა და დაფარცხვა აქაც 6 მან. და 20 კაპ. ღირს, ამას გარდა სამჯერ მიწის მორწყვას მოუნდება 1 მან. 50 კაპ., პირველ მოთოხვნას—4 მან. 40 კაპ., მეორეს—3 მან. 60 კაპ., სიმინდის მოჭრას და შეკვრას—1 მან., მოტანას—60 კაპ., დაცეხვას 60 კაპ. და სათესლე სამი (ჩანახი ანუ ფუთ-ნახევარი) სიმინდი ღირს 75 კაპ., სულ დღიური მიწის სასიმინდედ დამუშავება ღირს 18 მან. 65 კაპეიკი. აი, ამდენი ჯდება ერთი დღის მიწის დამუშავება საპურედ ანუ სასიმინდედ და ეს მიწა გლეხს აძლევს პირველ შემთხვევაში 18 მან. და მეორეში—15 მანეთს.

ამ ანგარიშიდან ცხადად სჩანს, რომ გლეხი ყოველ წელს ორ მანათამდე ზარალობს დღიურზე და, მაშასადამე, ათ დღიურზე—ორ თუმანამდე.

მაშ თუ ეს ასეა, რაღად იღებს სხვის მამულს სამუშაოდაო?—იკითხავს მკითხველი. საქმე იმაშია, რომ სხვის მამულის ამღები გლეხი არა ხარჯავს ფულს არც მიწის მოხვნაში, არც დაფარცხვაში, არც მოსავლის მომკა-მოჭრაში და არც თესლში, თავის ხარებს მეზობლის გუთანში აბამს ან მეზობლისას თავისაში და ამრიგად გადაბმულის გუთნით ხნავს მიწებს, მის მეზობლისავე დახმარებით და სთესავს თავისავე მოყვანილ თესლს, ანუ ხორბალს. რა თქმა უნდა, ყველა ამ სამუშაო საქმეებში თითოეულიც თავის შრომით და საქონლით სამაგიეროს უხდის მეზობელს, რომლის შემწეობითაც მან დაიმუშავა თავის მამული. ამგვარად ხვნა-თესვაში ფული არ ეხარჯება გლეხს, რადგანაც ამ საქმეში ფულის მაგიერობას იმისი შრომა ეწევა. მართლია, შრომა და ამაზედ მოხმარებული დროც ფულია, მაგრამ ჯერ ერთი,—გლეხი თავის შრომას არ ანგარიშობს და მეორე,—თუ გლეხი ხვნა-თესვას არ მიჰყვა, სხვა ამის სამაგიერო დარგი წარმოებისა არ არსებობს ჯერ-ჯერობით სოფელში. ხვნა-თესვა კი მხოლოდ 15—18 მანათს აძლევს იმას. ეს, შედარებით შრომისა, რასაკვირველია, ნაკლები ფასია, მაგრამ გლეხებისთვის შრომას სხვა მოთხოვნილება და ბაზარი არ არსებობს და ამიტომ იგი იძულებულია თვის საზარალოდ იმუშაოს სოფელში.

მართალია, გლეხს სოფელში სხვა საქმეებიცა აქვს, მაგალითად, ვენახის კეთება, ხოლო „ლიახვის პირებზე“ ვენახის მუშაობა არავითარი ხელ-საყრელი წარმოებაა.

აქ დიდად მკაცრი და მეტის-მეტად ხანგრძლივი ზამთარი იცის, ვაზს ყინვა და სიცივე სწვავს და აფუჭებს, ვენახი ნაკლებად ისხამს და ისიც, რასაც ისხამს, ნახევრადაც არა მწიფდება. ამნაირ ყურძნისგან, რასაკვირველია, ხეირიანი ღვინო არ დადგება და ამიტომ აქ ვენახის კეთება ხარჯად არ ღირს.

სამაგიეროდ მთელი ის ვაკე, რომელიც ლიახვის პირებს შეადგენს, მშვენიერს და შესანიშნავ საბაღო ადგილს წარმოადგენს. მეტად საგანგებო და მოსაწონი ხილი იცის აქ. ერთი დღის ოდენა ხილის ბაღის წლიურ მოსავალში 500—600 მანათს აძლევენ. აბა ვისა და რა დროს? ეგრეთ წოდებული ჩარჩები, რომლებიც ბეებს ურიგებენ ისევ ზამთარში, როდესაც ფული ყველას საერთოდ აკლია. ის ერთი დღის ბაღი, რომლის ხილსაც ასე ადრეულად ყიდულობენ 500—600 მანათად, სავსეა, რასაკვირველია, საზღვარ-გარეთული ხილით. აქ ფასი აქვს უფრო საზამთრო ხილს (მსხალს და ვაშლს), რომელსაც ასე საგანგებოდ და მშვენიერს ისხამს, როგორც ეს დამტკიცდა ტფილისის სამეურნეო გამოფენაზედაც. ვინ არ იცის და ვის არ გაუგონია ისაია ფურცელაძის შესანიშნავი ხილის ბაღი ლიახვზე. ამას, აი 27—30 წლის წინათ, პირველად მოჰქონდა ქართლში ხილის ბაღოსნობა. ა. ფურცელაძემ ყველგან გახადა თავის სახელი ჩვენს ქართლში სამაგალითო და ყოვლის მხრივ შესანიშნავ ბაღის გაკეთებით კი არა მარტო, არამედ იმითაც, რომ „ლიახვის-პირებზე“ ძნელად მოიპოვება სოფელი, სადაც არ იდგეს რამდენიმე მაინც ძირი ხე, ამის ბაღიდგან მყნად წამოღებული. მაგრამ განა მარტო მყნად წადების აჯერებდა? თითონ მოჰქონდა სხვის ვენახებში სამყნები, უხსნიდა ღირსებას სხვა მხრის ხილისას, ასწავლიდა მყნობას, დარგვას, ხის მოვლას და დიდის შეტადაჭირობით ურჩევდა ბაღოსნობისთვის ხელი მოეკიდათ და გული დაედვათ.

მე მწამს, რომ ერთ დროს მთელი ლიახვის პირები გადაიქცევიან გაერთებულს ხილის ბაღებად ისე, როგორც ერთ დროს გაერთებულ ყურძნის ბაღებად ანუ ვენახებად შეიქმნებიან მთელი კახეთის დაბლობები. როდის მოვა ჩვენში ეს კურთხეული დრო? მაშინ, როდესაც ჩვენში სამეურნეო და საბაღოსნო სკოლები დაარსდება, როდესაც ხალხში სამეურნეო ცოდნა გავრცელდება, როდესაც სამიწათ-მოქმედო მანქანების მოხმობა გაგვიადვილდება, როდესაც გზები გაგვიკეთდება, როდესაც ბაზარი გაგვეხსნება და სხვ. იმ დროს დღევანდელი ორმოცდა-ათ თუმნიანი ბაღი პატრონს ორას თუმანს მისცემს. ამის დასამტკიცებლად საბუთს წარმოადგენს ყირიმი, რომლის ხილიც ღირსებით დაბლა სდგას ჩვენს ხილზე და ფასად კი ერთი ოთხად მეტად იყიდება.

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

20 სექტემბერი.

პეტერბურგი. „ნაშა ჟიზნი“ იუწყება, რომ გრაფ სოლსკის საგანგებო კომისიაში წარდგენილი იქნება გრაფ ვიტტეს მოსაზრებანი მინისტრთა კაბინეტის შესახებ. გრაფ ვიტტეს აზრით, პირველ მინისტრად უთუოდ ერთ-ერთი მინისტრთაგანი უნდა იყვეს, რომელიც ყველა სამინისტროების მოქმედებას ერთად შეაერთებსო. მინისტრების არჩევა მასზე იქმნება დამოკიდებული.

20 სექტემბერს ყველა რკინის გზების წარმომადგენელთა კრება შესდგება, რომელიც შეიმუშავებს საპენსიო ახალ წესდებას.

„ნოვოე ვრემია“-ს გაუგია, რომ ამ მოკლე ხანში წამოაყენებენ საკითხს, გაიყვანონ თუ არა ციმბირის რკინის გზის მეორე ლიანდაგი,

ეკონომიის დეპარტამენტისა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ადგილზე ასახელებენ ტერნერსა და ავაშენკოვს.

მინისტრთა კაბინეტის დაარსების საკითხის ისტორია ასეთი ყოფილა. 1905 წლის 17 იანვარს უმაღლესის ბრძანებით თანამედროვე საქმის ვითარების გამოსარკვევად მინისტრთა და სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტების თავმჯდომარეთაგან დანიშნულ იქმნა განსაკუთრებული რჩევა. განსაკუთრებულმა რჩევამ რამდენიმე ხნის შემდეგ მოსპო მუშაობა და მხოლოდ შეიმუშავა მოხსენება, რომელშიაც ის აზრი იყო გატარებული, რომ საჭირო რეფორმების განსახორციელებლად აუცილებლად მინისტრთა მოქმედების გაერთიანება არის საჭიროო. ამას მალე მოჰყვა ფინანსთა მინისტრის პროექტი მინისტრთა მოქმედების გაერთიანების შესახებ. ამ პროექტს უმაღლეს წრეებში თანაგრძნობით არ დახვდნენ. სახელმწიფო სათათბიროს დებულების დამტკიცების შემდეგ დაიბადა აზრი, რომ აუცილებლად საჭიროა, დასავლეთ-ევროპის ქვეყნების მსგავსათ, მინისტრთა კაბინეტი დაარსდესო.

გრაფი ვიტტე, სახელმწიფოთა სურვილით, გააგის კონფერენციის თავმჯდომარეთ დაინიშნება.

ებრაელთა საკითხი განსახილველად ჯერ მინისტრთა კაბინეტს გადაეცემა და მერე სახელმწიფო სათათბიროს.

„ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ ხმები იმის შესახებ, ვითომც ბულიგინი სამსახურს ანებებდეს და შინაგან საქმეთა მინისტრად გრაფი ვიტტე ინიშნებოდეს, ჯერ ნაადრევად უნდა ჩაითვალოს.

მინისტრთა კაბინეტის საკითხის განხილვას გრაფ სოლსკის განსაკუთრებული რჩევა მხოლოდ ოქტომბრის პირველ რიცხვებში შეუდგება და ნოემბრის პირველ რიცხვებში დაამთავრებს. ვიტტე სარატოვის გუბერნიაში თავის საკუთარ საქმეების გამო მიდის. „ნოვოსტი“ კვლავ იმეორებს, რომ ვიტტე მომავალ კაბინეტში პირველ მინისტრის ადგილს დაიჭერსო; ამას გარდა, ან გარეშე, ან შინაგან საქმეთა მინისტრობა ჩაჰბარდებაო. იგივე გაზეთი გადმოგვცემს, ვითომც ვიტტეს თავმჯდომარედ ნიშნავდნენ.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

პეტერბურგი, 19 სექტემბერი. გრაფ სოლსკის ერთ-ერთ მახლობელ სხდომაზე განხილული იქმნება შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლების ამორჩევის შესახებ. — 20 სექტემბერს გრაფი ვიტტე შვიდი დღით თავის მამულში მიდის, ამიტომ გრაფ სოლსკის განსაკუთრებულმა რჩევამ მინისტრთა კაბინეტის საკითხის განხილვა ერთის კვირით გადასდო.

ჰელსინგფორსი, 19 სექტემბერი. კემიდან იუწყებიან, რომ ქალაქის მახლობელი ადგილები ჟანდარმებმა და პოლიციელებმა გაჩხრიკეს და კუნძულ კემზე მიწაში ჩაფლული 50 თოფი, 50 რევოლვერი, 8 ყუთი დინამიტი და 8000 პატრონა აღმოაჩინეს.

ვარშავა, 19 სექტემბერი. ღამე სოფელ ენდრჟეევიცში, სიგიზმუნდის მაღაროებიდან 182 გირვანქა დინამიტი, 262 ფიტილი და ხუთი ათასი ფისტონი მოიტაცეს. დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს.

ბათომი, 19 სექტემბერი. ნავოსნობის რუსეთის საზოგადოების საწყობში ბერდანის თოფების, რევოლვერების და პატრონების 12 ყუთი აღმოაჩინეს.

დალაი-ნორი, 19 სექტემბერი. 12 შავი ჭირით ავადმყოფი აღმოაჩინეს; ამათგან 10 ავადმყოფი გარდაცვლილა. 13 სექტემბრის შემდეგ შავი ჭირით ავად აღარავინ გამხდარა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 . 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 2 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (12 ს. 28 წ)

—

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, გელიკონიაქესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა ¹/₂. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ, თანახმად ბანკის წესდების მე-14 §-ისა, ამა 1905 წლის 28 სექტემბერს, ბანკის სადგომში, ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზე, ქართველ თავად აზნაურთა სახლში, მოხდება საჯარო ვაჭრობა ქვემოდ ჩამოთვლილ კაცთა უძრავ მამულებისა ბანკის ხვედრ გადასახადთა დროზე შეუტანლობისა გამო, რომელიც დადგენილია ბანკის წესდების 12, 17, 27, 28, და 36 §§-ის ძალით.

თუ პირველი ვაჭრობა არ შესდგა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, თანახმად ბანკის წესდების მე-20 §-ისა, მოხდება იმავე ბანკის გამგეობის სადგომში 1905 წლის 13 ოქტომბერს.

ვაჭრობა, თანახმად ბანკის წესდების მე-17 §-სა, დაიწყება გადუხდელად დარჩენილ თავნ ვალის ჯამიდან და მიემატება აქვე ნაჩვენები ბანკის მსესხებლებზედ დარჩენილი გარდასახადები და აგრეთვე საერობო და საქალაქო ბეგრის გარდასახადებიც.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარმოადგინოს ფულად ბე, რომელიც უნდა უდრიდეს ბანკის მსესხებლებზე დარჩენილ დარდასახადთა და იმ საერობო და საქალაქო ბეგრის დარჩენილ გარდასახადთა ჯამს, რომელიც ვაჭრობის დღეს აღმოჩნდება მამულზე.

გამყიდველი ვალდებულია დამტკიცების გარდასახადი და ვაჭრობაში წამატებული ფული ვაჭრობის დღიდან 14 დღის განმავლობაში წარმოადგინოს.

მყიდველს შეუძლიან თავნი ვალი თავის თავზე გადაიღოს და წინანდელ მამულის-მფლობლის წალდებულებანიც თვითონ იკისროს.

თანახმად ბანკის წესდების მე-15 §-ისა, მამულის პატრონს შეუძლიან დარჩენილი გარდასახადი ვაჭრობის შემდეგ წარმოადგინოს და მამული საჯარო ვაჭრობიდან გაანთავისუფლოს.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ საჭირო ქაღალდები, რომელიც გასასყიდ მამულებს ეხება, საქმის დღით ბანკის კანცელარიაში.

ამასთან გამგეობა აცხადებს, რომ, თუ გასაყიდ მამულთა პირველი აღწერილობა ეხლანდელ მათ მდგომარეობას არ შეეფერება, ბანკი ამის გამო პასუხს არ აგებს.

ქ. ტფილისში.

კონიშევისა მარიამ ნიკოლოზის ასული: შენობები და მიწა, ზომა საბუთებით 35 ოთხკ. საჟ., ბანკის დაფასების საბუთით კი 68 ოთხკ. საჟ., ანუ რამდენიც გამოდგება, პრიუტის ქ. № 15, მეორე ნაწილში.

თავნი ვალი 7851 მ. 35 კ., შემოსატ. გარდ. 337 მ. 38 კ., სულ 8188 მ. 73 კ.

კოსტანდოვი კონსტანტინე ავეტის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 43,85 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწ., ახალციხისა და კიროჩნის ქუჩის კუთხეში.

თავნი ვალი 1782 მ. 90 კ., შემოსატ. გარდ. 82 მ. 61 კ., სულ 1865 მ. 51 კ.

ფავლენოვისა თამარა ანტონის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 48,75 ოთხკ. საჟ., მე-9 ნაწ., მეორე თუმანოვის ქუჩა, № 6.

თავნი ვალი 1764 მ. 68 კ., შემოს. გარდ. 88 მ. 64 კ., სულ 1853 მ. 32 კ.

უთმელიძე ელისაბედ სიმონის ასული: შენობანი და მიწა ზომ. დოკუმენტებ. 165 ოთხ.-კ. საჟენამდე, შეფასებას აღწ. 200 ოთხ-კ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, მე 9 ნაწ. სემენოვის ქუჩაზე.

თავნი ვალი 23233 მ. 46 კ., შეს: გად. 892 მ. 90 კ, სულ 24126 მ. 36 კ.

ხუჩიკოვი ავეტიკ ბალაბეკას ძე შენობანი და მიწა ზომით 130 ოთხ. ს. მე-6 ნაწ. კრწანისის ბაღებთან, ელიაზაროვის ქუჩაზე.

თავნ. ვალ. 4780 მ. 75 კ., შემ. გად. 193 მ. 96 კ., სულ 4974 მ. 71 კ.

ციციკოვი სოლომონი გერასიმეს ძე: შენობანი და მიწა, ზომ. 127,3 ოთხ. ს. მე-5 ნაწილში, ფომინის ქუჩა, № 10.

თავნი ვალი 15682 მ. შემ. გად. 605 მ. 09 98 კ., სულ 16288 მ. 58 კ.

ქალაქ ბაქოში.

ქერბალაი აბას ალი მეშადი ყურბან ოღლი, შენობანი და მიწა, ზომით დოკუმენტ. 23,7 ოთხ. კუთხ. საჟ., ბანკის შეფასების აღწერ. 39,58 ოთხ. კუთხ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, მე-2-ე ნაწ. ფორტშტაში, სომხების ქუჩაზე.

თავნი ვალი 4562 მ. 10 კ შემოსატ. გარდ. 205 მან. 95 კ., სულ 4767 მან. 05 კაპ.

ქალაქ ქუთაისში.

ფრიდონოვი, ნიკოლოოზ ფრიდონის-ძე: შენობანი და მიწა, ზომით დოკუმენტებით სიგძით 12 საჟ. 10¹/₂ ვერშ. სიგანით 7 საჟ. ხოლო ბანკის შეფასების სიით 90¹/₂ ოთხ. კუთხ. საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება. ქარვასლისა და გიმნაზიის ქუჩებზე.

თავნი ვალი 5989 მ. 83 კ. შემოსატ. გარდ. 173 მ. 61 კ. სულ 6163 მ. 44 კ.

ქალაქ ბათუმში

თაიროვი ივანე ალექსანდრეს ძე: ორი ნაჭერ მიწისა და შენობანი. ერთი ზომით 160 ოთხ-კ. ს. მარიამის პროსპექტზე და ზღვის ქუჩაზე, მეორე ზომით 1793,2 ოთხ-კ. საჟ. სამ თანაბარ ნაჭრებისაგან შემდგარი. სასაფლაოსა და ტფილისის ქუჩ.

თავნი ვალი 76462 მ. 64 კ., შემოსატ. გად. 2999 მ. 81 კ., სულ 79462 მ. 45 კ.

ერევნის გუბერნიასა და მაზრაში.

ალთუნოვი პოლოს-ბეკ სიმონის ძე: ორი ნაჭერი მიწისა, სულ 919 დესეტ. 744 ოთხ-კ. საჟ., ავდალიარის აგარაკში.

თავნი ვალი 19923 მ. 12 კ., შემ. გად. 420 მ. 24 კ., სულ 20343 მ. 36 კ. (3—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 20 Сентября 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5.